# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი

№62-63 (9893-9894) 2025 წლის 30 აპრილი, ოთხშაბათი


# უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები და ქართული ოპოზიცია




**2024 წელს საქართველოში უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები საკუთარი ქვეყნების ინტერესების გასატარებლად აქტიურად ცდილობდნენ სხვადასხვა პოლიტიკურ ძალასა და მათ ლიდერებთან კავშირის დამყარებას,** – ამის შესახებ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2024 წლის ანგარიშშია ნათქვამი.

**სუს-ის ანგარიშის თანახმად, გამოვლინდა უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურების მხრიდან საქართველოს მოქალაქეებთან კონტაქტის დამყარების, მათთვის საყურადღებო თემებზე გამოკითხვისა და გადაბირების მცდელობები.**

**განიხილებოდა** საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე სიტუაციის მაქსიმალურად დაძაბვა, რასაც უნდა მოჰყოლოდა მსხვერპლი და მასზე პასუხისმგებლობა დაკისრებოდა ხელისუფლებას.


იხ. 2 გვ.


**განიხილებოდა** მმართველი ძალის თანამდებობის პირების ლიკვიდაციის გეგმები.

## „არ ეგების, მივცეთ ძალაუფლება ამ ურჯულოს!“




იხ. 4 გვ.


### როინ მეტრეველი:

## პეტრე დიდის წარმომავლობის შესახებ

ამ რამდენიმე დღის წინათ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა აკად. როინ მეტრეველის სტატია „დავით აღმაშენებელი და პეტრე პირველი (სხვაობა ექვსასი)“. პუბლიკაციას მოჰყვა მკითხველთა უჩვეულო გამოხმაურება და თხოვნა, გაზეთში დაბეჭდილიყო მასალა პეტრე პირველის წარმომავლობის შესახებ.

თხოვნის საფუძველი საკითხთან დაკავშირებით მოარული, ხალხში გავრცელებული სხვადასხვა მოსაზრებებია.

ჩვენი თხოვნით, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა წარმოგვიდგინა მოკლე ინფორმაცია, რასაც დღეს ვთავაზობთ მკითხველს.

### თეიმურაზ ქორიძე:

## წვნიანი ფანტელების სინდრომი თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში




იხ. 5 გვ.


USAID-ის ჩახსნამ, მათ შორის საქართველოდანაც, სხვა ფონდები აიძულა, ნაწილობრივ მაინც შეევსოთ ევროებით გამქრალი დოლარები, სწორედ ამ დაკნინებულ პროტესტს ვხედავთ დღეს!

## დაკნინებული პროტესტის „ფულოსოფია“




იხ. 3 გვ.


## კურსკში უკრაინელი „ნეონაცისტების განადგურებაში“ კიმ ჩენ ინის მეომრებიც მონაწილეობდნენ!




იხ. 8 გვ.



WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

# მიხეილ ყაველაშვილი: მზად ვართ, გავაღრმაოთ რეგიონული თანამშრომლობა ყველა მიმართულებით

მოხარული ვარ, რომ საქართველოს პრეზიდენტის რანგში პირველად ვსტუმრობ სომხეთის რესპუბლიკას ოფიციალური ვიზიტით. მსურს, გულითადი მადლობა გადაგიხადოთ გამორჩეული მასპინძლობისთვის. ჩემს კოლეგასთან შეხვედრისას კმაყოფილებით აღვნიშნე, რომ, მსოფლიოში მიმდინარე რთული გეოპოლიტიკური ვითარების ფონზე, ჩვენ ვაგრძელებთ ჩვენი ქვეყნების მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და ხალხთაშორისი კავშირების გაღრმავებას.

საქართველოსა და სომხეთს აქვთ სანიმუშო ორმხრივი თანამშრომლობა ბევრი მიმართულებით. გასულ წელს ჩვენ გავაფორმეთ სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულება, რაც მტკიცე მეგობრული ურთიერთობების კიდევ ერთი დასტურია და გზას უხსნის უფრო ღრმა და ყოვლისმომცველ თანამშრომლობას ყველა სფეროში. სომხეთი საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო პარტნიორია. ჩვენს ქვეყანას სომხეთიდან ყოველ წელს უამრავი ვიზიტორი სტუმრობს და ამ მაჩვენებლით ყოველთვის პირველ სამეულშია.

ჩემს კოლეგას კიდევ ერთხელ დავუდასტურე საქართველოს უპირობო მხარდაჭერა სომხეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტსა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ. საქართველოს საუკეთესო ინტერესებშია სომხეთის სტაბილურობა, წარმატება და წინსვლა. აქვე, მსურს პირადად ჩემი და ქართველი ხალხის სახელით მადლობა გადაგიხადოთ საქართველოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და არაღიარების პოლიტიკის მტკიცე და ურყევი მხარდაჭერისათვის. დღეს, პირისპირ შეხვედრისას ჩვენ ვისაუბრეთ რეგიონში არსებულ ვითარებაზე და მიმოვიხილეთ საქართველოს წინაშე მდგარი გამოწვევები.

ჩვენი გაცხადებული პოლიტიკა მშვიდობისა და სტაბილურობის ხელშეწყობაა. ჩვენ ერთგული ვართ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პოლიტიკის მიმართ, რომელიც ეყრდნობა რუსეთის მიერ საქართველოს ორი რეგიონის დეოკუპაციის და საოკუპაციო ხაზით გაყოფილ მოსახლეობას შორის შერიგებისა და ჩართულობის ამოცანებს“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა, **მიხეილ ყაველაშვილმა** სომხეთის პრეზიდენტთან, **ვაჰაგნ ხაჩატურიანთან** ერთად გამართულ ბრიფინგზე.



როგორც ყაველაშვილმა განაცხადა, იმედს გამოთქვამს, რომ უახლოეს პერიოდში სომხეთი და აზერბაიჯანი სამშვიდობო შეთანხმებას ხელს მოაწერენ.

**„სწრაფად ცვალებად გეოპოლიტიკურ გარემოში რეგიონში სტაბილურობისა და მშვიდობის დამყარება სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. საქართველო ცალსახად მიესალმება 2025 წლის 13 მარტს სომხეთისა და აზერბაიჯანის განცხადებას სამშვიდობო შეთანხმების პირობებზე მოლაპარაკებების დასრულების შესახებ. გვჯერა, რომ ეს არის მნიშვნელოვანი პროცესის დასაწყისი, რომელიც საჭიროებს შემდგომ ერთობლივ ძალისხმევას, რათა ერთად შევქმნათ მშვიდობიანი, უსაფრთხო, სტაბილური და განვითარებული სამხრეთ კავკასიის რეგიონი. იმედს გამოვთქვამთ, რომ უახლოეს პერიოდში სომხეთი და აზერბაიჯანი ხელს მოაწერენ სამშვიდობო შეთანხმებას, რითიც თვისობრივად ახალ საფეხურზე გადავა სამხრეთ კავკასიის პოზიტიური განვითარების დინამიკა და რეგიონის მიმზიდველობა.**

**შეხვედრაზე ასევე ვისაუბრეთ 2025 წლის 17 აპრილს თბილისში გამართული სამმხრივი შეხვედრის შესახებ, რომელიც წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების სამმხრივი ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის პროცესის დასაწყისს. საქართველო განუხრელად ემხრობა სამხრეთ კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარების პროცესს. ჩვენ მზად ვართ, გავაღრმაოთ რეგიონული თანამშრომლობა უკლებლივ ყველა მიმართულებით და ჩვენი წვლილი შევიტანოთ სამართლიანი და მშვიდობიანი მრავალპოლუსიანი საერთაშორისო წესრიგის ფორმირებაში. მოხარული ვარ, რომ მიმდინარე წლის 5-7 ივნისს ერევანში ქართული კულტურის დღეები გაიმართება. მოუთმენლად ველით მომავალ წელს თბილისში სომხური კულტურის დღეების გამართვას, რომელიც კიდევ ერთხელ წარმოაჩენს სომხური კულტურის მდიდარ მემკვიდრეობას, ტრადიციებსა და თანამედროვე მიღწევებს.**

**სამაგალითო მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა და სტრატეგიული პარტნიორობა გვაძლევს მყარ საფუძველს, რომ ეს გამორჩეული ურთიერთობა კიდევ უფრო მეტად განვავითაროთ. ბატონო პრეზიდენტო, ძვირფასო კოლეგავ, ნება მომეცით, კიდევ ერთხელ გადაგიხადოთ გულწრფელი მადლობა განსაკუთრებულად გულთბილი მასპინძლობისათვის.**

**ვსარგებლობ რა ამ გამორჩეული შესაძლებლობით, მსურს თქვენთვის ხელსაყრელ დროს ოფიციალური ვიზიტით მოგიწვიოთ საქართველოში“**, – განაცხადა **მიხეილ ყაველაშვილმა.**

# სუს-ის ანგარიში: უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები და ქართული ოპოზიცია

(პირველი გვერდიდან)

**„სავარაუდოდ, მსგავსი კონტაქტებისას, ასევე, სპეციალური სამსახურების წარმომადგენლები მათთვის სასურველი ინფორმაციის მოსაპოვებლად გარკვეულ ტექნიკურ ღონისძიებებს ატარებდნენ. დადასტურდა ცალკეული მასმედიის წარმომადგენლის კავშირი უცხო ქვეყნების ოფიციალურ პირებსა და, სავარაუდოდ, სპეციალური სამსახურების წარმომადგენლებთან, რომლებისგანაც იღებდნენ დაფინანსებას და მითითებებს, ასევე აწვდიდნენ ინფორმაციას დაინტერესების საკითხებზე.**

**საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების მხრიდან საქართველოში ვიზიტად მყოფი პირების გამოყენების მცდელობები. დაფიქსირდა უცხო ქვეყნების მოქალაქეთა მხრიდან საქართველოს ტერიტორიაზე საეჭვო საქმიანობის განხორციელების ფაქტები, რაც გამოიხატა GPS კოორდინატების დადგენაში, დრონებით ფოტო და ვიდეოგადაღებებში. აღნიშნული კატეგორიის ზოგიერთი პირის მიმართ გატარდა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები, მათ შორის ამოქმედდა სასაზღვრო კონტროლის მექანიზმი“**, – აღნიშნულია სუს-ის ანგარიშში.

საქართველოს ტერიტორიასა და მის ფარგლებს გარეთ მოქმედ პირთა გარკვეული ჯგუფი სხვადასხვა საბაბით (მათ შორის „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონის“ მიღება, საპარლამენტო არჩევნების „გაყალბება“) საქართველოში გეგმავდა სამოქალაქო არეულობის და დესტაბილიზაციის პროვოცირებას, რომლის საბოლოო მიზანი ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა იყო.

ანგარიშის თანახმად, პირთა გარკვეული ჯგუფების მოქმედებები იმართებოდა უცხო ქვეყნებიდან მომდინარე დაფინანსებით, საპარლამენტო და არასაპარლამენტო კონკრეტული პოლიტიკური პარტიების ლიდერების და არასამთავრობო ორგანიზაციათა ხელმძღვანელების მიერ.

**სხვადასხვა პერიოდში დანაშაულებრივ გეგმებში აქტიურად იყვნენ ჩართულნი ქვეყნის გარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეები, კერძოდ, უკრაინაში მებრძოლი ქართველების კონკრეტული ნაწილი, რომლებიც აცხადებდნენ მზადყოფნას, ჩამოსულიყვნენ საქართველოში და აქტიური მონაწილეობა მიეღოთ პოლიციის წინააღმდეგ დაგეგმილ ძალადობაში, რასაც მოჰყვებოდა სიტუაციის უკიდურესი დაძაბვა. მათ შორის, განიხილებოდა მმართველი ძალის თანამდებობის პირების ლიკვიდაციის გეგმები.**

**საპროტესტო გამოსვლების ორგანიზატორების მიზანს მიმდინარე პროცესების ე.წ. მაიდანიზაცია წარმოადგენდა. იგეგმებოდა თბილისის სატრანსპორტო კვანძების პარალიზება, სამთავრობო დაწესებულებებსა და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებთან მისასვლელი გზების, სამართალდამცავი ორგანოების დისლოკაციის ბაზების ბლოკირება, ცენტრალურ გამზირებზე ე.წ. კარვების ქალაქების მოწყობა.**

**საპროტესტო მუხტისა და რადიკალიზმის გასაზრდელად დაგეგმილი იყო სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა პროვოცირება დემონსტრანტებთან დასაპირისპირებლად, რასაც უნდა მოჰყოლოდა მსხვერპლი. ამ მიზნით ცალკეული ახალგაზრდული ჯგუფების მიერ გამოიყენებოდა პიროტექნიკა და ე.წ. მოლოტოვის კოქტეილები.**

**არსებული ინფორმაციით, საპროტესტო გამოსვლების ორგანიზატორების მიერ ასევე იგეგმებოდა 2024 წლის 14 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების პროცესის ჩაშლა. ამ მიზნით განიხილებოდა საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე სიტუაციის მაქსიმალურად დაძაბვა, რასაც უნდა მოჰყოლოდა მსხვერპლი და მასზე პასუხისმგებლობა დაკისრებოდა ხელისუფლებას.**

**საპროტესტო აქციის ორგანიზატორების აგრესიის განსაკუთრებულ სამიზნეს წარმოადგენდნენ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლები. მათი დემორალიზებისა და პროვოცირების მიზნით გამოიყენებოდა ე.წ. ფერადი რევოლუციების მოწყობასთან დაკავშირებული ისეთი მეთოდები, როგორებიცაა მათ მიმართ მუქარა, მოსყიდვა, საპროტესტო აქციის მონაწილეთა მხარეს მათი გადასვლის ინსცენირება, რაც, საბოლოო ჯამში, მიზნად ისახავდა სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოშლის განცდის შექმნას“**, – აღნიშნულია სუს-ის ანგარიშში.



# „ნატო-საქართველოს სწავლება 2025“ დაიწყო

**საქართველოს თავდაცვის უწყება „ნატო-საქართველოს სწავლებას 2025“-ს მასპინძლობს. სწავლება ოფიციალურად კრწანისში, საერთო საჯარისო ცენტრში გაიხსნა.**

თავდაცვის მინისტრის მოადგილემ **გიორგი ლილუაშვილმა**, თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილემ, გენერალ-მაიორმა **ზაზა ჩხაიძემ** და ნატოს სამხედრო მეკავშირე ოფიცერმა, პოლკოვნიკმა **ბერატ ტელიმ** სწავლების დაწყება მასში მონაწილე ქართველ და უცხოელ სამხედროებს მიულოცეს. სიტყვით გამოსვლისას მათ სწავლების მნიშვნელობაზე ისაუბრეს და მონაწილეებს აღსრულების პროცესში წარმატებები უსურვეს.

სწავლების გახსნის ცერემონიას დაესწრნენ თავდაცვის მინისტრისა და თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილეები **გრიგოლ გიორგაძე** და ბრიგადის გენერალი **ირაკლი ჭიჭინაძე**, თავდაცვის უწყების წარმომადგენლები, საქართველოში აკრედიტებული ქვეყნების თავდაცვის ატაშეები, ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელი ალექსანდრე ვინიკოვი, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტისა (SNGP) და ევროკავშირის მონიტორინგის მისიის წარმომადგენლები. ნატო-საქართველოს სწავლებების ციკლში ეს უკვე რიგით მეოთხე სწავლებაა, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ საქართველოში იმართება.

# დაკნინებული პროტესტის „ფულოსოფია“



## USAID-ის ჩახსნამ, მათ შორის საქართველოდანაც, სხვა ფონდები აიძულა, ნაწილობრივ მაინც შეევსოთ ევროებით გამქრალი დოლარები, სწორედ ამ დაკნინებულ პროტესტს ვხედავთ დღეს!

კვირის ციტატები



– არჩევნებში დამარცხებულ ადმინისტრაციას ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციამდე თბილისის ზღვარგადასული პროტესტისთვის და მორიგი ფერადი რევოლუციისთვის მწვანე შუქი სრულად ჰქონდა ანთებული. საქართველოს სამართალდამცავ სტრუქტურებს უდიდესი ძალისხმევის გაღება მოუწიათ რუსთაველის გამზირზე წესრიგის, უსაფრთხოებისა და პარლამენტის სასახლის შტურმისგან დასაცავად. ამ შეტაკებებში არაერთი დემონსტრანტი და სამართალდამცავი დაშავდა.

ჩვენ ისიც კარგად გვახსოვს, როგორი დუმილით ადევნებდა თვალს მიმდინარე პროცესს დიპლომატთა ის ნაწილი, რომელიც წინასაარჩევნოდ სიტყვაუხვობდნენ, ახლა კი სწორედ მათი ინსპირირებით როგორ მიუშვეს აგრესიული დემონსტრანტები პოლიციასთან დასაპირისპირებლად. მათ კარგად ესმოდათ ქვეყანაში დაპირისპირების რეალური მიზეზი და არათუ არაფერი გააკეთეს ოპოზიციისთვის ცრუ ნარატივის გამოსართმევად, არამედ ყოველგვარად წაახალისეს პარლამენტზე თავდასხმა. მანამდე, პირველად ჩვენს ისტორიაში დემონსტრანტს ცოცხალ ადამიანზე მოლოტოვის კოქტეილი ასროლინეს, დასაწვავად გაიმეტეს და შემდეგ გმირად გამოაცხადეს. სწორედ ამის შედეგად ვიხილეთ პირდაპირი მნიშვნელობით გახსნილი ცეცხლი რუსთაველის გამზირზე.

სრულიად მოულოდნელად, პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა საჯაროდ, მთელი მსოფლიოს გასაგონად გამოაცხადა იმ მავნე პრაქტიკის დასრულების შესახებ, რომელსაც იყენებდა ამერიკის ხელისუფლება საერთაშორისო ასპარეზზე რბილ ძალად მონათლული **USAID**-ის თუ **NED**-ის გამოყენებით. ახალი ადმინისტრაციის განსხვავებული მიდგომა საერთაშორისო ვაჭრობის, უკრაინაში მიმდინარე ომისა და ნამდვილი ამერიკული ინტერესების მიმართ გლობალისტური ძალებისა და ომის პარტიებისთვის ცივი შხაპი აღმოჩნდა...

– პრეზიდენტმა ტრამპმა უდიდესი ძალისხმევა გასწია უკრაინაში ცეცხლის შესაწყვეტად და მშვიდობის დასამყარებლად, რომელიც ჯერ ისევ აწყდება წინააღმდეგობას. მან დახურა USAID-ი, როგორც ამერიკული გრძელვადიანი ინტერესების დამაზიანებელი ინსტიტუცია. დაიწყო ამერიკის უმაღლეს სასწავლებლებში უცხოური დაფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის პროცესი. USAID-ის, როგორც მთავარი დონორის ჩახსნამ საერთაშორისო ასპარეზიდან და მათ შორის საქართველოდანაც, სხვა ფონდები აიძულა, ნაწილობრივ მაინც შეევსოთ ევროებით გამქრალი დოლარები.

სწორედ ამ დაკნინებულ პროტესტს ვხედავთ დღეს, რომელსაც გაკოტრებული დღის წესრიგით მაინც ახალისებენ. ამ პროცესზე დაკვირვება საინტერესოა იმითაც, რომ ზუსტად დავინახოთ ამერიკული ინტერესის სამომავლო ფორმირება და მექანიზმები. ახალი ადმინისტრაცია რეალურად ახერხებს „დიფსთეითის“ დამარცხებას, რისი შედეგიც იქნება სხვა ქვეყნების შიდა პოლიტიკაში რბილი თუ ხისტი ძალით ჩაურევლობა და პარტნიორთა ინტერესების გათვალისწინება, თუ ამის შედეგად მხოლოდ დისკრედიტირებული და გაკოტრებული ინსტრუმენტები გაუქმდება, სანაცვლოდ კი იგივე დანიშნულების, მაგრამ ახალი ფორმის ზემოქმედების მექანიზმებს მივიღებთ, – წერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი**.

# ლოზუნგების ცვლილებით ხელისუფლება და ქუჩაში ხალხი არ იცვლება!



**მას შემდეგ, რაც ოპოზიციამ დაინახა, რომ ქუჩაში აქციის მონაწილეების ნაკადი შემცირდა, ხოლო საპროტესტო მუხტი მინელდა, ხალხის ქუჩაში გამოყვანას ახალი ლოზუნგით და რადიკალიზმით ცდილობს. თუკი ადრე აქციის მონაწილეების მთავარი მოთხოვნა ხელახალი არჩევნების დანიშვნა და ე.წ. პოლიტპატიმრების გათავისუფლება იყო, 26 აპრილს გამართულ აქციაზე მათ ხელისუფლების და პრემიერ ირაკლი კობახიძის გადადგომა მოითხოვეს.**

**მმართველ გუნდში ფიქრობენ, რომ ამით ოპოზიცია ეცდება ხალხის ახალი ნაკადის ქუჩაში გამოყვანას, თუმცა უშედეგოდ. მათი ნარატივი და მცდელობები უკვე გაცვდა, შესაბამისად, რაც უფრო რადიკალურები იქნებიან, ხალხი მათგან მით უფრო შორს დადგება. მით უმეტეს იმ ფონზე, როცა რუსმა ინტერნეტ ხულიგნებმა ექსპრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი და ყოფილი სახალხო დამცველი ამხილეს, ხოლო მათი და რადიკალების მიზნები საჯარო გახდეს, ხალხში მათი ნდობა განულდა. აქციის მონაწილეებმა, 26 აპრილს, დიდუბის მოედნიდან პროკურატურამდე მსვლელობა მოაწყვეს. იმეორებდნენ ლოზუნგებს: „გადადგეს არალეგიტიმური ხელისუფლება“, „გათავისუფლდნენ პოლიტპატიმრები“. აქციის მონაწილეები რუსთაველზე შეიკრიბნენ, იქიდან საზოგადოებრივი მაუწყებლისკენ დაიძრნენ.**

* * *

მმართველი გუნდის ლიდერის **მამუკა მდინარაძის** თქმით, კიდევ კარგი ოპოზიციას არ ჰყოფნის პროფესიონალიზმი, რომ ის ფული, რასაც გარე ძალები აძლევენ, ქვეყნის მავნებლობისთვის ყაირათიანად ხარჯონ.

**„კიდევ კარგი, არ ჰყოფნით პროფესიონალიზმი, რომ ის ფული, რომლითაც ფინანსდებიან აგენტურული საქმიანობისთვის, უფრო ყაირათიანად ხარჯონ მავნებლობაში. ეს ამ ქვეყნის ბედნიერებაა. როცა აგენტურულ საქმიანობას ეწევიან, ვერასდროს მიაღწევენ წარმატებას. რაც უფრო დამოუკიდებლები ვიქნებით, გარე ძალები, რომელი ქვეყანაც არ უნდა იყოს, ოკუპანტიდან დაწყებული, სხვა ქვეყნებით დამთავრებული, ვერც ერთი გაბედავს ილაპარაკოს შენს ქვეყანაზე და ხალხზე შენს გარეშე. ამასობაში ევროპაში პირველ ადგილზე ვართ ეკონომიკური კეთილდღეობის კუთხით და დიდი მადლობა იმ ადამიანებს, რომლებსაც ერთ-ერთ ხიდზე ბანერი გამოუფენიათ, სადაც ეწერა, რომ ჩვენს გარეშე გადაწყვეტილებები არ მიიღებაო“,** – აღნიშნა **მდინარაძემ**.

ანალიტიკოსი **ვახტანგ ძაბირაძე** ამბობს, რომ ნამდვილად გაუგებარია რას მისცემს ოპოზიციას ლოზუნგის ცვლილება და რატომ მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება. ანალიტიკოსი for.ge-თან ამბობს, რომ თუკი ეს იმის გამო გააკეთეს, რომ ფიქრობენ რადიკალიზმით ხალხს ქუჩაში გამოიყვანენ, ძალიან ცდებიან.

**„ლოზუნგების ცვლილებით ხელისუფლება არ იცვლება და მხოლოდ ეს არ კმარა იმისთვის, რომ ხალხი ქუჩაში გამოიყვანო. ხალხს ქუჩაში გამოსვლა არ უნდა, ეს რომ ნდომოდათ აქამდეც გამოვიდოდნენ. ამიტომ პროცესის რადიკალიზება და ასეთი მოთხოვნები ხალხს უფრო დააფრთხობს და ქუჩას კიდევ უფრო ნაკლები ხალხი გაეკარება. ეს არის ძალიან დიდი შეცდომა, როცა ლოზუნგს ცვლი და არ იცი ამას რისთვის აკეთებს. რამ განაპირობა ეს ცვლილება, ხალხი მიაწყდა რუსთაველს და ამის გამო შეშინდება „ოცნება“ თუ რა ხდება? ეს ხომ კიდევ დამატებით არასერიოზულობას მატებს ოპოზიციას და აქციის მონაწილეებს.**

**რამდენიმე კაცით ხელისუფლებას უძახო გადადექი და წადიო, სერიოზული არ არის. როცა ხალხის განცდაა, რომ ამ ხელისუფლების ალტერნატივა ოპოზიცია მმართველ გუნდზე უარესია და მას არ ენდობა, ხელისუფლებაში არ მოჰყავს, ასეთ ლოზუნგებს რომ ისვრი, ეს ხომ შენს წინააღმდეგაც მოქმედებს, რადგან ხელისუფლება ოპოზიციის კიდევ უფრო გასაშავებლად გამოიყენებს. ამ ლოზუნგით ხალხს კი არ მიიზიდავენ, პირიქით დააფრთხობენ“**, – განაცხადა **ძაბირაძემ**.

საუბარი იმაზე, რომ ხალხი მოიმატებს და უცბად რუსთაველი საპროტესტო განწყობის ხალხით გაივსება, არასწორია. ამისთვის ოპოზიცია არაფერს და ვერაფერს აკეთებს.

**„შაბათს შედარებით ბევრი ხალხი იმიტომ მივიდა, რომ არასამუშაო დღე იყო, თანაც ამინდი კარგი დაემთხვა. ამის მიზეზი არაა ის, რომ ვიღაცამ ლოზუნგი შეცვალა და ამის გამო ხალხი მოემატათ. შესაძლოა, დრო და დრო ხალხის რაოდენობამ მოიმატოს, მაგრამ ეს ის რაოდენობა არ იქნება, რომელიც ხელისუფლებას აიძულებს რაღაც კონკრეტული ნაბიჯები გადადგას ამ აქციებთან დაკავშირებით. ეს არის ოპოზიციის უმოქმედობა, საზოგადოებაში ამათი უნდობლობა. ოპოზიცია ვერ ახერხებს დღემდე ხალხთან კომუნიკაციას და ნდობის აღდგენას. სანამ ასე იქნებიან, ხალხიც მათგან შორს იდგება და იქიდან დაუწყებს სეირს ყურებას. ოპოზიციამ ლოზუნგი კი არა, რაც უნდა ის შეცვალოს, ხალხთან დამოკიდებულებას სანამ არ შეიცვლიან, არაფერი უშველით“**, – ამბობს **ძაბირაძე**.

მისივე თქმით, კობახიძის და ამ მთავრობის გადადგომით ოპოზიცია არც არაფერს არ იგებს და არც კობახიძე არ გადადგება. ანალიტიკოსი ამბობს, რომ დღეს პირიქით ხდება, „ქართულ ოცნებაში“ კობახიძის გუნდი მოდის სრულად და ის პოზიციებს კიდევ უფრო იმყარებს. ძაბირაძე ფიქრობს, რომ კობახიძეს კარტ-ბლანში ექნება, ვინ უნდა შეცვალოს, ვინ უნდა დანიშნოს, მაგრამ გამორიცხულია, რომ ის ახლა გადადგეს. ამიტომ ასეთი ილუზიებით ხალხის მოტყუება მხოლოდ ოპოზიციას ავნებს.

**ლიკა ბერიკაშვილი**

მკითხველის თხოვნით

# „არ ეგების, მივცეთ ძალაუფლება ამ ურჯულოს!“


პეტრე I

**პირდაპირ უნდა ითქვას, ისტორიოგრაფიაში მიღებული და აღიარებულია, რომ რუსეთის იმპერატორი პეტრე I არის შვილი რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის ძისა (1629-1676 წ.წ.). ალექსი მიხეილის ძე რუსეთის მეფის მიხეილ თევდორეს ძე რომანოვის შვილი გახლდათ. რაც შეეხება სხვა ცნობებს აღნიშნული საკითხის შესახებ – ეს კარგა ხანია ცნობილია, თანაც არა მარტო საქართველოში, უპირველესად რუსეთში.**

მე კეთილი, ახლო ურთიერთობა მქონდა გამოჩენილ ქართველ მეცნიერთან, აკადემიკოს შალვა ნუცუბიძესთან და მის ოჯახთან (მეუღლე მყავს მხედველობაში). ბატონმა შალვამ ასეთი რამ მიამბო:

იგი მოსკოვში ერთ-ერთი ჩასვლის დროს შეხვდა თავის მეგობარს ალექსი

## პეტრე დიდის წარმომავლობის შესახებ

ნიკოლოზის ძე ტოლსტოის, რომელიც გახლდათ ავტორი ტომეულებისა პეტრე პირველის შესახებ.

ქართველი მეცნიერ-ფილოსოფოსი, ბატონი შალვა მწერალს ოჯახში მიუწვევია. იგი მოხიბლულა ტოლსტოის კაბინეტით, სადაც წიგნებთან ერთად გამოფენილი ყოფილა პეტრე I-ის სურათები, რამდენიმე ბიუსტი. ბატონ შალვას აღტაცებულს მიუმართავს ა. ტოლსტოისთვის – რა ბედნიერი ხარ, რომ შენი პეტრეს გარემოში იმყოფებიო. პასუხად მწერალს უჩვენებია დოკუმენტი, სადაც აღწერილი იყო ბოიართა სათათბიროს მიმდინარეობა და აქედან გამომდინარე მტკიცდებოდა ალექსი მიხეილის ძის პეტრეს მამობის ვერსია.

ცხადია, ბატონ შალვას ეს ამბავი მხოლოდ ჩემთვის არ უამბნია. მთავარი ისაა, რომ ეს ინფორმაცია პროვოკაციულად მიუჩნევია რუს მწერალს და საჭიროდ ჩაუთვლია დოკუმენტის იოსებ სტალინისთვის ჩვენება. აქედან საბუთდებოდა, რომ პეტრე I წარმოშობით რუსი არ ყოფილა; ზოგიერთი მინიშნებით იგი ქართველი იყო. ნიშანდობლივია, რომ იოსებ სტალინს ეს ფაქტი არ გაჰკვირვებია. დოკუმენტის საფუძვლიანად გაცნობის შემდეგ უთხოვია ა. ტოლსტოისათვის, რომ აღნიშნული მასალა არ გამოემზეურებინა. ეს თხოვნა კი მარტივად დაუსაბუთებია, რომ რუსი ხალხისათვის არ დაეკარგათ ამ დიდი პიროვნებით სიამაყის შესაძლებლობა.

მიუხედავად ბელადის აკრძალვისა, აღნიშნული ფაქტის შესახებ ინფორმაცია მაინც გავრცელდა საზოგადოების გარკვეულ ფენებში. ამ ამბის გავრცელებას სხვა გარემოება აძლევდა საფუძველს. საქმე ისაა, რომ ალექსი მიხეილის ძის პერიოდის მოსკოვის სამეფო გარკვეულად სუსტი იყო. ამ დროს დაეცა ბოიართა სათათბიროს როლი, საერო კრებებმა შეწყვიტეს საქმიანობა და ა.შ.

ამასთან, ალექსი მიხეილის ძე იყო სუსტი, ფიზიკურად უძლური პიროვნება. მას ურთიერთობა ჰქონდა ძირითადად საეკლესიო პირებთან. ერთი ამათაგანი გახლდათ **არტამონ სერგის ძე მატვეევიც,**


ალექსეი მიხეილის ძე


ნატალია ნარიშკინა

რომელიც რეალურად ახდენდა მეფეზე გავლენას. ამ უკანასკნელს მიზნად ჰქონდა დასახული, როგორმე ჩამოეშორებინა მეფისთვის მილოსლავსკების საგვარეულო! ქვეყნის დედოფალი კი სწორედ მარია ილიას ასული მილოსლავსკაია იყო...

მარია მილოსლავსკაიამ მეფეს ბევრი შვილი გაუჩინა. საოცარი იყო, რომ გოგოები ფიზიკურად ჯანმრთელები იყვნენ, ბიჭები კი სუსტები, უსუსურები, ავადმყოფები.

ხუთი ვაჟიდან სამი მცირეწლოვანი გარდაიცვალა. უფროსი შვილი თეოდორე მძიმე ავადმყოფი იყო – გასივებული ფეხით ვერ გადაადგილდებოდა. არც მეოთხე შვილი ივანე გამოირჩეოდა ჯანმრთელობით. იგი ცუდად მეტყველებდა და თანატოლებს განვითარებით ჩამორჩებოდა.

1669 წელს ალექსი მიხეილის ძის მეუღლე მარია მილოსლავსკაია გარდაიცვალა, ამის შემდეგ „თავი გამოიჩინა“ არტამონ მატვეევმა და მაჭანკლის ფუნქცია დაიკისრა. მან დაქვრივებული მეფის საცოლედ შეარჩია ყირიმელი თათარი, თავადის ასული ნატალია კირილეს ასული ნარიშკინა, ყირიმელი თათრის მურზა ისმაილი ნარიშის ქალიშვილი.

ნატალია ამ დროს მოსკოვში ცხოვრობდა. მამამისი ისმაილი რუსეთში კირილედ „მოინათლა“.

ნატალია ნარიშკინა ფიზიკურად ლამაზი პიროვნება იყო, 21 წლისა, ხორციელი – როგორც ახასიათებენ, ხოლო მეფე ალექსი მიხეილის ძე – 42 წლის, ფიზიკურად დაუძლურებული პიროვნება.

**აღსანიშნავია, რომ რუსეთის სამეფო კარზე ყმაწვილკაცობიდან, საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იმყოფებოდა ქართლ-კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის შვილიშვილი, დავით ბატონიშვილისა და ელენე დიასამიძის შვილი ირაკლი. იგი რუსეთში ნიკოლოზის სახელით იყო ცნობილი. ესაა ირაკლი პირველი (ნაზარალი-ხანი),**


ერეკლე I

**რომელიც შემდგომში ქართლის მეფე იყო 1688-1703 წლებში, კახეთის — 1703-1709 წწ.**

არსებითია, რომ ირაკლი (ნიკოლაი დავიდოვიჩი) ძალზედ დაახლოებული იყო მეფესთან და არ იყო შემთხვევით, რომ იგი ქორწინების და კერძოდ ქორწილის თავკაცად დაინიშნა. ეს ძველ რუსულ ქორწილში მნიშვნელოვანი ფიგურა იყო: **Тысяцкий** (ასე ერქვა ამ მოვალეობის მფლობელს) საინტერესოდაა განმარტებული ვლადიმერ დალის ლექსიკონში: **Старший свадебный чин... обычно это крёстный, он же и посаженный отец жениха, он же и распорядитель поезда и обрядов, благословляет и увозит жениха, меняет кольца четы, платит за свадьбу и привозит домой молодых („Толковый словарь живаго великорусского языка Владимира Даля“, С-Петербург, Москва, 1882, стр. 448).**

ამ განმარტებაში აკშარად ჩანს „ტისიაცკის“ აქტიური როლი ქორწილში და მისი განსაკუთრებული სიახლოვე მეფე-დედოფალთან. ეს ფაქტორი მნიშვნელოვანია სხვადასხვა ხასიათის ფიქრისათვის (მეფე-დედოფალთან ასეთი სიახლოვის პირობებში).

„ხმებმაც“ არ დააყოვნა. საერთოდ, როგორც ჩანს, ეს ვერსია იმთავითვე გაჩნდა

ნიშანდობლივია, რომ სოფიო ბატონიშვილი (პეტრეს და) თავად გალიცინს სწერდა, როცა პეტრეს გამეფების საკითხი დადგა, **„Нельзя отдавать власть басурманину“.** პეტრეს მეფობა თვით დედამაც რამდენიმეჯერ შეიცხადა: „**Царем он быть не может**“. არის ერთი საინტერესო დეტალიც, როცა პეტრე პირველს შესთავაზეს ქართველ თავადიშვილ ქალთან (სავარაუდოდ დარეჯან არჩილის ასული) დაქორწინება, განუცხადებია, რომ მე ჩემს მოგვარეზე არ დავქორწინდებიო“..

ხალხი ხაზს უსვამს პეტრე I-ის გარეგნობას. არც ერთი რუსეთის მეფე არ გამოირჩეოდა აღნაგობით. პეტრე განსაკუთრებულად გამორჩეული იყო. იგი საკმაოდ მაღალი (თითქმის ორ მეტრამდე) გახლდათ... საინტერესოა, რომ ამ ტანმაღალ პიროვნებას ფეხსაცმელი 38 ზომისა ეცვა, ტანსაცმელი კი 48 ზომისა. მიაჩნიათ, რომ გარეგნობა პეტრე პირველმა მემკვიდრეობით მიიღო ქართული ნათესაობიდან. მსგავსებას პოულობენ პეტრე პირველსა და ქართველი ბაგრატიონების (ირაკლი I, არჩილ II) გარეგნობას შორის. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი თვისება კავკასიური ჰქონდა, პეტრე პირველი შინაგანად პირწმინდად ევროპელი იყო.


არჩილ II

**არსებობს მეორე ვერსია პეტრე I-ის იმერეთის მეფის არჩილ II-ის (1661-1663 წწ) შვილობის შესახებ. ცხადია, ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ ეს ვერსია მეტად საეჭვოა, ამიტომ მასზე არ შევჩერდებით!**



როინ მეტრეველი,
აკადემიკოსი


არტამონ მატვეევი



„წვნიანი ფანტელების“ ნაცვლად, შემეძლო მომეშველიებინა „მიფურთხების იმიჯი“, ან „გასროლა განხორციელდა“, ან „ტვინები ძმებმა დაქორწინდნენ“, ან „კაშკაშა ყოფნის ფოტოები“, ან „დამპყრობლებმა სხვადასხვა მეთოდები იყენებენ...“ თანამედროვე ქართული. საინფორმაციო სივრცე ამგვარი არჩევანის უსაზღვრო შესაძლებლობას იძლევა.

ამ მართლაც უსაზღვრო არჩევანის შესაბამისად, უსაზღვროა ლიტერატურული ქართული ენის გაქრობის, უფრო რბილად რომ ვთქვა, მშობლიური და მსოფლიოს ბიბლიოთეკების მყუდრო საცავებში მისი მარადიულად გადაბარგების საშიშროება.

ალბათ, ვაჭარბებ, არა? – ღმერთმა ინებოს, ასეც იყოს, მაგრამ, მოდი, ვნახოთ, როგორ წერენ და მეტყველებენ ქართველი „ჟურნალისტები“, „პოლიტიკოსები“, „ანალიტიკოსები“ თუ „თარჯიმნები“.

იმედია, არ დამძრახავთ, თუ აწ უკვე გაჟურნალისტებული მარადიულად დამწყები „დიდი პოლიტიკოსის“, ბატონი ლევან ხაბეიშვილის – „ჩვენი ხაბეს“ – „მოღვაწეობით“ დავიწყებ.

ვერ დავიტრაბახებ, თავიდან ბოლომდე ვუყურე-მეთქი, მაგრამ მის უზარმაზარ (საათზე მეტი!) პოლიტიკურ სატელევიზიო გადაცემაში ჩემი ყურადღება თბილისური ქუჩური ქარგონის, „ყომარის“, განმარტებამ მიიქცია - თამაში. ხაბეს სტუდიაში ნარდი მიეტანა და სტუმარს შესთავაზა, თან ვიყომაროთ (ანუ ნარდი ვითამაშოთ), თან პოლიტიკაზე ვილაპარაკოთო.

საქმე ის არის, რომ არაბული „კამარა“ გზნისგან ქართულში დამკვიდრებული „ყომარი“ (სხვათა შორის, აქედანვეა, გვარი კამარიძე, საკუთარი სახელი ყამარი – მთვარისა, ქამარი, კამარა...) ნიშნავს არა, უბრალოდ, თამაშს, არამედ სწრაფ, აზარტულ თამაშს. ანუ ყომარი არის არა ნარდის დარბაისლური და საკმაოდ ინტელექტუალური თამაში, არამედ ზარის გაგორება, რამაც, შესაძლოა, ცხოვრების განმავლობაში ტანჯვა-წამებით ნაშოვნი მთელი ქონება რამდენიმე წამში ხელიდან გამოგაცალოს.

შესაბამისად, მშობლიური ქართული ქუჩური ტერმინოლოგიის თანახმად, მოყომარება არის რაღაც საქმის ნებისმიერი ბინძური ხერხით სასწრაფოდ გადაწყვეტა და არა დარბაისლური მსჯელობა ნარდის ან კახური ღვინის თანხლებით.

# წვნიანი ფანტელების სინდრომი თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში

**უახლოესი წარსულის პოლიტიკა რომ გავიხსენოთ, საქმეებს დინჯად აგვარებდა უინსტონ ჩერჩილი, აყომარებდა – მიხეილ სააკაშვილი.**

**მოკლედ, ძვირფასო ხელმოცარულო მოპოლიტიკოსო ჟურნალისტებო და მოჟურნალისტო პოლიტიკოსებო, სანამ რამე ბრძნულის თქმას გადაწყვეტდეთ, ცოტა უნდა დაფიქრდეთ. ხაბესნაირებს ეს ვერ უშველის, მაგრამ მაინც. არც იმის დიდი იმედი მაქვს, რომ „ხაბე და კომპანია“ ოდესმე ამ წერილს წაიკითხავს.**

პოლიტიკოსებს ცოტა მოგვიანებით დავუბრუნდები, ახლა კი ძალიან მოკლედ ჟურნალისტების და თარჯიმნების (უფრო ზუსტად, უთარჯიმნოდ თარგმნილი ტექსტების) შესახებ.

**„მისი ბინა მოთავსებულია 1944 წელს აშენებულ შენობაში, რომელიც ახდენს კლასიკური ხიბლისა და თანამედროვე პრაქტიკულობის შერწყმას. მისაღები ოთახი არის სახლის ცენტრი. იქ მდებარეობს დიდი წიგნის თარო, რომელიც სავსეა ლიტერატურით; კომფორტული სკამი, ელეგანტური სავარძელი და სუფრა. კედლებზე გამოფენილი სურათები სითბოსა და პიროვნულობას მატებს სივრცეს. მისი სიყვარულიც მწვანილის მიმართ აშკარაა მთელს ბინაში“.**

თუ მთარგმნელობითი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი ბრძანდებით, იქნებ გამოიცნოთ კიდეც, რომ აქ საუბარია ჯერ კიდევ გასული საუკუნის 40-იან წლებში აშენებული სახლის კარგად გარემონტებულ, კომფორტულ საცხოვრებელ ბინაზე; „სუფრა“ არის მაგიდა, ხოლო ბინის პატრონის „სიყვარული მწვანილის მიმართ“ – მობინადრის ლტოლვა ოთახის ყვავილებისადმი.

**„ანუჩკას აქვს აბსოლუტურად უნიკალური სილამაზე და ყველას გულს აჩქარებს. ის თავის გარდაცვლილ მამას უცნაურ მოწონებას იზიარებს და ზოგიც კი ამტკიცებს, რომ ის მისი მაფურთხების იმიჯია. მან აიღო მისი ცისფერი თვალები და საფირმო ღიმილი და გახდა დელონის ქალი ასლი“.**

როგორც პროფესიონალმა თარჯიმანმა, შემიძლია სრული პასუხისმგებლობით ვთქვა, რომ ამ „ქართული“ ტექსტის ქართულ ენაზე თარგმნა, უბრალოდ, შეუძლებელია. თუ ინტუიციას ვენდობი, ავტორს, მგონი, იმის თქმა სურდა, რომ ოდესღაც მსოფლიოს ქალების გულთამპყრობელი ალენ დელონის ქალიშვილი მამამისის სრული ასლია.

აი, ამ ტექსტის თარგმნაზე ოცნებას კი ვერავითარი პროფესიონალიზმი ვერ აგიხდენთ:

**„ღამე გავატარე ჩემს პირველ პაემანზე, ვისვენებდი კურორტზე! როცა სამსახურში დავბრუნდი – უბრალოდ STUPOR-ში შევვარდი... ასეთი შემოტრიალება და სიზმარშიც არ იქნებოდა ნანახი!... – ფრთხილად! – მწვავე ყვირილმა ოლია სწრაფად მოტრიალდა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. უკნიდან ვიღაცამ ჩაირბინა და უზარმაზარი საზამთრო, რომელსაც ის ასე ფრთხილად მიჰქონდა, ხელებიდან გასრიალდა, ყრუ რაკრაკით ასფალტზე აჩქარდა, კაშკაშა წითელ ნაჭრებად გაფრინდა. წვნიანმა ფანტელებმა დატბორა არა მხოლოდ მისი ფეხები და ტანსაცმელი, არამედ ხმაურიანი კომპანია გუგუნებს ახლომახლო“.**



ცოტა უნდა წავიტრაბახო. მართალია, ახლა რომ წაიკითხავთ იმ ტექსტის შინაარსისა ბევრი ვერაფერი გავიგე, მაგრამ დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ „ტვინები ძმები“ ტყუპი ძმები და „ტვინები დები“ – ტყუპი დები უნდა იყვნენ:

**„ტვინები ძმებმა დაქორწინდნენ ტვინებზე დებზე და ორი წლის შემდეგ ორივე გახდნენ ორსული და მოიყვანეს გაუთვალისწინებელი ბავშვები. „გგონიათ რა... ჩვენ ორივე ველოდებით ბავშვებს!“ ეს ფრაზა რომლითაც შეხებული იყო ემოციური ფოტო, მათ გულშემატკივრებს სიხარული მოუტანა. მილოცვების და მხარდაჭერის წერილები სუსტი, რაც ზოგადი აღფრთოვანებას ასახავდა. „ჩვენი ბავშვები მხოლოდ ძმები არ იქნებიან, არამედ გენეტიკურად სრული და ველით მათი შეხვედრას და მათი ერთმანეთთან შეხვედრას,“ – გაუზიარეს ბედნიერი მშობლებმა“.**

დამიჯერეთ, ამ ინფორმაციის თარგმნა მართლაც აუცილებელია. საქმე რომ გაგიიოლოთ, გეტყვით, რომ საუბარი ეხება არა ვინმე მონღოლ ან თურქ-სელჯუკ დამპყრობლებს, არამედ თანამედროვე ავტომობილების ქურდებს, რომლებიც გატაცების იარაღად მონეტებს იყენებენ:

**„დღეს მე ვნახე მონეტა მუხლზე განვიდოს და მყისიერად გავაცნობიერე, რომ რაღაც არ იყო სწორად! თუ მსგავსი რამ შეამჩნიეთ თქვენს მანქანაში, იყავით ფრთხილად – ეს შეიძლება პრობლემას აღნიშნავდეს! მე ავუხსნი, რა ხდება რეალურად სტატიის ბოლოში ასეთი ტრუიკების შესახებ ამბები ხშირად ხდება. დამპყრობელებმა სხვადასხვა მეთოდები იყენებენ მანქანების შესამოწმებლად...“**

ახლა ქართველი ჟურნალისტების ქართულ ენაზე დაწერილ ორიოდე მაგალითს შემოგთავაზებთ.

**„ამასთან, ადგილზე მომუშავეები მოკლულ ტაქსის მძღოლზეც საუბრობენ. როგორც ისინი აღნიშნავენ, ტაქსის მძღოლი ბაზარში ხორცის საყიდლად შევიდა, რა დროსაც გასროლა განხორციელდა, ის მოკლულების დახმარებას შეეცადა, რა დროსაც ტყვია მასაც მოხვდა“.**

ჩემი სწავლების ან ჭკუის დარიგებისგან ჯვარი სწერია, მაგრამ პატივცემულ ქართველ ჟურნალისტს, სავარაუდოდ, ამის თქმა სურდა:

**ბაზრის თანამშრომელთა თქმით, სროლისას ტაქსის მძღოლი ბაზარში ხორცს ყიდულობდა და ტყვია მასაც მოხვდა.**

კიდევ ერთი მაგალითიც ვნახოთ: „იტალიაში დღემდე წარმოუდგენელი რამ ხდება ნეაპოლის ქუჩებში დღემდე კვარაცხელიას თამაშს გულით უყურებენ და ბალეშიკობენ – წერენ იტალიური გამოცემები“.

არადა, ჟურნალისტს (გვარს არ დავასახელებ და, ერთობ გამოჩენილი უნდა იყოს!), შეეძლო ძალიან უბრალოდ ეთქვა: „იტალიური გამოცემები წერენ, რომ ნეაპოლელები დღემდე მხურვალედ გულშემატკივრობენ ხვიჩა კვარაცხელიას. ასეთი რამ იტალიაში არასდროს მომხდარა“.

რა გაეწყობა, აზრების მარტივად გადმოცემა ძალიან რთულია, მით უფრო – წერილობით. კიდევ უფრო რთულია, როცა ჯერ გამოჩენილებში „გაიჩითები“ და მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის სწავლას მერე იწყებ. თანაც თუ რუსული „ბალელშიკობა“ მშობლიური ქართული („გულშემატკივრობა“) გგონია!..

მართალია, ხელისუფლებამ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების გაძლიერებაზე გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ ეს საქმეს ნამდვილად არ უშველის. აუცილებელია, ქართული ენის სწავლების გაძლიერება-რეორგანიზაცია დაწყებით, საჯარო სკოლებსა და ტექნიკურ სასწავლებლებში. თანაც, სასწრაფოდ და რადიკალურად. ამავე დროს, აუცილებელია, როგორმე ზღვარი დაედოს „წვნიანი ფანტელებისა“ თუ „ძმები ტვინების“ მსგავსი ენობრივი ტერორისტული ტექსტების ინტერნეტ სივრცეში გამოქვეყნებას. ვიმეორებ, ეს ჯერ კიდევ 12 წლის წინათ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მისვლისთანავე უნდა გაკეთებულიყო. თუმცა სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს!

ბარემ უნიჭო პოლიტიკური დემაგოგიის ორიოდე ნიმუშიც ვნახოთ. ამავე დროს, ეს გახლავთ დემონსტრირების დაუოკებელი სურვილი, საკუთარი უვიცობა-უნიჭობის უნებლიე გავრცელებაზე ბევრად საშიში მოვლენა:

**„სიკეთემ უნდა გაიმარჯვოს ბოროტებაზე... დღეს რუსთაველზე რუსეთის იმპერიას ებრძვიან... რუსეთის იმპერია მკვლელი და ოკუპანტია... დღეს ახალგაზრდობა საქართველოს თავისუფლებისათვის იბრძვის...“**

საქმე ის არის, რომ თბილისში, ბათუმში, ზუგდიდში, ქუთაისში, რუსთავში ან იორმუღანლოში არავითარი ანტიიმპერიული ბრძოლები არ მიმდინარეობს. ძალაუფლების მანიაკური ლტოლვით შეპყრობილი და უცხოური დაფინანსებით გადიდგულებული თვითმარქვია ოპოზიციის მიერ ქუჩაში გამოტყუებული ახალგაზრდობა (ძველგაზრდობაც!) საქართველოს მტრული ძალებისთვის ჩასაბარებლად იბრძვის. მკვლელი და ოკუპანტია რუსეთის იმპერიაც, დიდი ბრიტანეთიც, საფრანგეთიც, ესპანეთიც, პორტუგალიაც, პოლონეთიც, ბელგიაც, შვედეთიც, ნიდერლანდებიც, ჩინეთიც, ავღანეთიც, ირანიც და ამერიკის შეერთებული შტატებიც!

ასე რომ, ქართველმა ახალგაზრდობამ რუსული იმპერიის წინააღმდეგ კი არა, თანამედროვე მსოფლიოში თავისი სამშობლოს ღირსეული ადგილის დამკვიდრებისთვის უნდა იბრძოლოს...

**„ივანიშვილის ბიჭები კრემლის ამ ხაზზე რომ ზიან ევროკავშირის წინააღმდეგ არახალია, მაგრამ სად საუბრობენ კრემლთან, რასაც ზახაროვა ამბობს ევროკავშირის წინააღმდეგ ჯერ კიდევ დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობის ფონზე, ეს კი საინტერესოა.**

P. S. 2030-ში ევროკავშირი კი იქნება. აი, რუსეთი როგორი იქნება, ეგ უფრო მაინტერესებს...“

ამ სიტყვების ავტორი სახელგანთქმული ქართველი პოლიტიკოსი „კრემლის ხაზზე მჯდომ ივანიშვილის ბიჭებად“ იმ ქართველ ხანდაზმულ თუ ახალგაზრდა მოქალაქეებს გულისხმობს, ვისაც ევროკავშირის თანამედროვე ფორმით ხანგრძლივ არსებობაში ეჭვი ეპარება. ამიტომ ამ ყოვლად უნიჭო დემაგოგიის ავტორს ალალად ვეტყვი: ჯერ ერთი, შენი ქართული ენის მასწავლებელი და შენი პოლიტიკისკენ წამქეზებელი... რა ვთქვი! მეორეც, შე მამაცხონებულო, რაღაცას რო დაწერ, მერე ხომ უნდა წაიკითხო! ახლა რომ ხაბემ ეს შენი მიეთმოეთი წაიკითხოს, ხომ მოგეჭრა ეგ ჭკვიანი თავი!

* * *

**კიდევ ერთი მარადიულად დამწყები პოლიტიკოსის პრიმიტიული დემაგოგიის მხიარული მაგალითი და ამით დავასრულებ:**

**„არავითარი მოთხოვნა არჩევნების, ჩვენ თვითონ უნდა ჩავატაროთ არჩევნები სექტემბერში. გვყავს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილის სახელით, რომელმაც შეიძლება დანიშნოს ეს არჩევნები“.**

**ლიტერატურულ ქართულ ენას ვეღარ ისწავლი, მაგრამ შე კაცო, ბარემ ისიც გეთქვა, ყოველი შემთხვევისთვის საკუთარი ნაპოლეონი რო გვყავს უჯრაში გადამალული!**



**თეიმურაზ ქორიძე**

27. 04. 2025

## ალეკო ასლანიშვილი

# მეგრელთა საქმე

**სიმონ ჯელიძე პირში წაუდგა მიხა ბარამიას, ნაციონალისტური განწყობის, შოვინიზმის, ჯგუფური მიდრეკილებების შედეგად იქამდე მიხვედი, რომ ზოგიერთი მუშაკის ცოლსაც კი ლეგულოგდი სამუშაოზე მოსაწყობადო.**

ქუთაისის ქალაქკომის მდივანმა **გრიგოლ კოკაიამ** სინანულით თქვა, ბარამიას და მისი ჯგუფის ანტიპარტიული საქმიანობის გამო პატიოსანი მეგრელები ისვრებიან. ყველამ ვიცით, რომ ბარამიას მამა ივანე, 70 წლის კაცი, ხანჯლით და ნაგანით დაეხეტება რაიონებში სხვადასხვა საქმის „ჩასაწყობადო" (თავის დროზე, ზუგდიდში მცხოვრებმა ბატონმა მამანტი პაჭკორიამ, „მეგრელთა საქმის" გამო რეპრესირებულმა პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის ყოფილმა მდივანმა, მაცნობა: ივანეს უკადრისი საქციელის შესახებ მიხა ბარამიას ვუამბე. როგორმე აღკვეთე ეს ამბავიო, მთხოვა შეწუხებულმა. ის დღე იყო და იმ კაცს ჩვენი რაიონიდან ფეხი ამოვაკვეთინე, ნაგანი კი ჩამოვართვით-ა.ა.).

ცეკას ინსპექტორმა **ვალერიან ქარჩავამ** ზუგდიდში სახელმწიფო ქონების გამფლანგველებისა და დამტაცებლების მფარველობაზე ილაპარაკა. შევამოწმეთ ნარაზენის მეურნეობა, დავკითხეთ ხალხი, პასუხისგებაში მივეცით, მაგრამ 3 წლის განმავლობაში ვერ მივაღწიეთ გასამართლებას, ზუგდიდის რაიკომი თავგამოდებით იცავდა მათ. პირველ მდივანს ჩაჩიბაიას ძალზე დიდი მხარდაჭერა ჰქონდა იმ დროს, როცა ყველაზე მეტი დარღვევები იქ აღინიშნებოდა. ჩაჩიბაია ჯერ კიდევ 1944 წელს იყო მოსახსნელი, როცა 1700 ტონა ჩაი გაუფუჭდა. ზუგდიდის ერთ-ერთ სოფელში საბჭოს შენობა გაყიდეს, საბჭო კი დაქირავებულ სახლში გადავიდა. ამ რაიონის ხელმძღვანელთა უკანონო მოქმედება გარკვეულ გავლენას ახდენდა სამეგრელოს სხვა რაიონების მუშაობის სტილზე. ჩაჩიბაიას გავლენა იგრძნობოდა აბაშაზე, წალენჯიხაზე...

პლენუმზე რამდენჯერმე ითქვა, რომ სხვაგან არსად არ არის იმდენი ქურდობა, დატაცება, რამდენიც ზუგდიდში, სხვაგან ვერ ნახავთ იმდენ ავტომანქანას, რამდენსაც იქ, რომ ბარამიას მამასავით დათარეშობს შურა იოსავას დედაც.

სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში თავისი მუშაობის პერიოდში (1948-1951წ.წ.) კადრების წმენდის ანგარიშით წარდგა მინისტრი რუხაძე: **სამინისტრო დაბინძურებული იყო კორუმპირებული პირებით, ხალხს არჩევდნენ კუთხურობის, მლიქვნელობისა და მაამებლობის პრინციპით. ბარამიამ და მასთან ერთად ცკ-ის ადმინისტრაციული განყოფილების ყოფილმა გამგემ კუპრავამ დადანაშაულება დამიწყეს, მხოლოდ მეგრელებს ყრიო. 1948-1951 წლებში სხვადასხვა მოტივით უშიშროების სისტემიდან გავუშვით 352 ქართველი მუშაკი, მათგან: 86 ქართლელი, 59 კახელი, 72 იმერელი, 51 გურული, 59 მეგრელი 25 რაჭველი და ლეჩხუმელი. 1951 წლის 1 ოქტომბრის მონაცემებით, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში მუშაობს 1275 ქართველი ეროვნების ჩეკისტი, მათგან:128 კახელი, 295 ქართლელი, 270 მეგრელი, 204 გურული, 244 იმერელი, 134 სხვადასხვა კუთხიდან. ბარამია მხოლოდ განთავისუფლებულ მეგრელებს მფარველობდა, მათი აღდგენისთვის იღვწოდა (მალანია, თოდუა, ჩხეტია, გუჯაბიძე). ყველა განაწყენებული მეგრელი ცეკაში სწორედ ბარამიას აკითხავდა. 1949 წლის თებერვალში მოსკოვში ხილით სპეკულაციისათვის დააკავეს სოხუმელები გრიგორიადი და კოსტიკიდი. მათს პასუხისგებაში მისაცემად საქმე სოხუმის საქალაქო მილიციას გადმოუგზავნა. დაკავებულებმა ქრთამი მისცეს სოხუმის პროკურორს გვასალიას და საქმის შეწყვეტის პირობა მიიღეს. მაგრამ გვასალიამ საქმის შეწყვეტა ვერ შეძლო, რადგან ერთ-ერთ მათგანზე აფხაზეთის უშიშროებამ საქმე აღძრა შპიონაჟის ბრალდებით და მილიციიდან მისი საქმე გაითხოვა. გვასალიას საკითხი განიხილა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა, მისი ბრალი დადასტურებულად ცნო და დაპატიმრების ნება მისცა. საქართველოს უმაღლესმა სასამართლომ გვასალიას 10 წელი მიუსაჯა. ბარამია ცხოველ ინტერსს იჩენდა მისდამი და იმას მიაღწია, რომ სსრკ გენერალური პროკურატურის პროკურორის ბარკალაიას და საქართველოს კომპარტიის ცეკას ყოფილი ინსტრუქტორის ჭკადუას (ეს ქალი გვასალიას ძუძუმტეა) დახმარებით სსრკ უმაღლესმა სასამართლომ გვასალია გაამართლა და ციხიდან გამოუშვა.**



კონსტანტინე მოკიჩევი

საბოლოოდ ნ. რუხაძემ (ერთადერთმა!) მიანიშნა „მეგრელთა საქმის" რეალურ სამიზნეზე, როცა ხაზი გაუსვა, დასავლეთის სპეცსამსახურები ყველა შესაძლებლობას იყენებენ, ემიგრანტთა ნათესაური კავშირების ჩათვლით, ჩვენში თავიანთი აგენტების შემოსაგზავნადო.

ზოგიერთი ორატორი, სკპ(ბ) ცკ-ის დადგენილების შესაბამისად, ასევე მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ ქართულ ემიგრაციაში ამერიკელები ახლა უპირატესობას ანიჭებენ ევგენი გეგეჭკორს და არა ნოე ჟორდანიას.

აქ ლოგიკურად წამოიჭრება კითხვა: ხომ არ არის „მეგრელთა საქმე" ამ ევოლუციის გამოძახილი? საქმე ის გახლავთ, რომ ე. გეგეჭკორი უფრო ანტისაბჭოთა და ანტირუსული განწყობისა იყო, ვიდრე ნოე ჟორდანია, და ამდენად, კრემლისთვის უფრო საშიშიც, საშიში ასევე ბერიასთან თავისი ნათესაობითა და დასავლეთის საზოგადოებრიობასთან მრავალრიცხოვანი კავშირებით.

**დამატებითი ინფორმაცია: სკპ(ბ) ცკ-მა 1952 წლის 29 მაისს მიიღო დადგენილება კ. ა. მოკიჩევის სსრკ გენერალური პროკურორის მოადგილის თანამდებობიდან მოხსნის შესახებ. მასში ნათქვამია, რომ ამხანაგების პონომარენკოს, შკირიატოვის, საფონოვისა და ეგოროვის შემადგენლობით შექმნილი კომისიის მიერ ბოროტმოქმედ გვასალიას ციხიდან უკანონო განთავისუფლების გარემოებათა შემოწმების, აგრეთვე, ამ საკითხთან დაკავშირებით სსრკ გენერალური პროკურორის მოადგილის ამხ. მოკიჩევის მიერ მიცემული ახსნა-განმარტების შედეგად, სკპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა დაკისრებული სახელმწიფო მოვალეობისადმი კ. მოკიჩევის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების ფაქტები.**

**სსრკ პროკურატურაში შევიდა სოხუმის ყოფილი პროკურორის, საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს მიერ მექრთამეობისთვის 10 წლით თავისუფლებააღკვეთილი გვასალიას საქმე. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო გამოძიებით უდავოდ იყო დადგენილი მექრთამეობაში გვასალიას ბრალდების მტკიცებულება, ამხ. მოკიჩევმა სსრკ უზენაეს სასამართლოში პროტესტი შეიტანა, რომელშიც საქმის გარემოება დამახინჯებული იყო დამნაშავის სასარგებლოდ, მიაღწია სწორი სასამართლო განაჩენის შეცვლას და გვასალიას ციხიდან გათავისუფლებას.**

**ამხ. მოკიჩევის ახსნა-განმარტებიდან იმის შესახებ, რომ მან საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს განაჩენის პროტესტს ხელი ისე მოაწერა, გვასალიას საქმეს არ გასცნობია, ირკვევა, რომ ამხ. მოკიჩევი მუშაობაში ავლენს არაპარტიულ, ანტისახელმწიფოებრივ დამოკიდებულებას თავისი სამსახურებრივი მოვალეობის მიმართ.**

**შემოწმებით დადგინდა, აგრეთვე, სოციალისტური საკუთრების დატაცებასა და მექრთამეობასთან ბრძოლის საქმეში ამხ. მოკიჩევის არასწორი ქმედების სხვა ფაქტები...**

**სკპ(ბ) ცკ-მა დაადგინა:**

**თავისი სამსახურებრივი მოვალეობებისადმი ანტისახელმწიფოებრივი დამოკიდებულებისა და სასამართლო საქმეთა განხილვისას საბჭოთა კანონების დარღვევისათვის ამხ. ა. მოკიჩევი გაირიცხოს სკპ(ბ) წევრობიდან.**

**ამხ. მოკიჩევი მოიხსნას სსრკ გენერალური პროკურორის მოადგილის თანამდბობიდან და აეკრძალოს პროკურატურის ორგანოებში მუშაობა.**

**აღინიშნა, რომ სსრკ გენერალური პროკურორი ამხ. საფონოვი, როგორც ჩანს ამხ. მოკიჩევის გადაცდომებიდან და გვასალიას საქმიდან, მეთვალყურეობას არ უწევს თავისი მოადგილეების მუშაობას და საკმარისად ფხიზლად და პრინციპულად არ უდგება პროკურატურის ცალკეული მუშაკების მხრიდან გადაცდომებსა და კანონების დარღვევას...**

* * *

**ასეთი პათოსით წარიმართა პლენუმის პირველი დღე.**

იკვეთება კუთხურობის, მფარველობის, მექრთამეობის ნაცნობი სურათი, მაგრამ რა შუაშია ნაციონალისტური, ანტიპარტიული, ანტისაბჭოთა ჯგუფი? ან, განა მხოლოდ სამეგრელოს რაიონებში იყო პოლიტიკური ხელმძღვანელობის ასეთი მანკიერი სტილი? მექრთამეობა, დატაცება, ნათლიმამობა ხომ სხვა კუთხეებშიც იყო ფეხმოკიდებული?

მიხა ბარამიამ ბრალდებათა ნაკადში ეს სუსტი წერტილი იგრძნო და სიტყვა ითხოვა. ამაოდ ფიქრობდა, რომ ყველაფრის მტკიცედ უარყოფით რაიმეს შეცვლას შეძლებდა. სიტყვა არ მისცეს. მისცეს მხოლოდ ხუთი წუთი განცხადებისათვის.

**მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის ხელმძღვანელი არ ვყოფილვარ და არც ვარ, შეიძლება ვცდები, მაგრამ ახლაც ვამბობ, რომ მინისტრი რუხაძე მრავალ საკითხში სერიოზულ შეცდომებს უშვებდა და უშვებს, კადრების მიმართ არ არის ობიექტური. ჩემთვის განსაკუთრებით პოლიტიკურად მომაკვდინებელია ანტიპარტიული ნაციონალისტური ჯგუფის ხელმძღვანელობის ბრალდება, მე ასეთი არ ვარ, ასეთი რამის წინააღმდეგ ყოველთვის ვიბრძოდი. მომეცით საშუალება გამოვასწორო შეცდომები, რაც მქონდაო, ითხოვა.**

ბარამიამდე ასეთივე თვითგამამართლებელი, ყველაფრის უარმყოფელი სიტყვით გამოვიდა „ბარამიას ჯგუფის წევრი" **კონსტანტინე ჭიჭინაძე: ჩემს სიცოცხლეში არავითარ დაჯგუფებაში მონაწილეობა არ მიმიღია, სკპ(ბ) ცკ-ის დადგენილებაში კი წერია, ვითომ ანტიპარტიული ჯგუფის წევრი ვარ, საიდან, როგორ, ეს ჩემთვის ყოვლად გაუგებარია. არავითარი დამოკიდებულება, გარდა საქმისა, ამხ. ბარამიასთან არ მქონიაო...**

კანდიდ ჩარკვიანი, რომელიც ისედაც მშვენივრად ხვდებოდა, რომ პლენუმზე საკითხის განხილვა (აბსურდულობის გამო) საჭირო პოლიტიკური სიმწვავითა და მიზანდასახულობით არ მიმდინარეობდა, რასაც მოსკოვი არ აპატიებდა (და საბოლოოდ არც აპატია!), უმალ ჩაეჭიდა ბარამიას განცხადებას და ბოლო სიტყვაში სუსხიანად განაცხადა (ეს მისი ყველაზე მკაცრი სიტყვები იყო იმ დღეს): **„ბარამია საკითხს აყენებს, რომ ჩვენ შუამდგომლობა გავუწიოთ სკპ(ბ) ცკ-ის დადგენილების ნაწილის გადახედვაში. ვინ ჰგონია მას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი! ხედავთ, როგორ განაწყენდა, როგორ მოხვდა, როცა მეგრელთა ნაციონალისტური ჯგუფი ვახსენეთ!"**

**პლენუმმა ერთხმად დაადგინა:**

**დაიგმოს ბარამიას ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა;**

**მოიხსნას მიხეილ ბარამია საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის მეორე მდივნის პოსტიდან და გამოყვანილ იქნეს ცკ-ის წევრთა შემადგენლობიდან;**

**მოიხსნას სამუშაოდან ავქსენტი რაფავა და გამოყვანილ იქნას საქ. კპ(ბ) ცკ-ის წევრთა შემადგენლობიდან;**





მიხეილ კალინინი და კანდიდ ჩარკვიანი

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ" №47-48, 50-51, 54-55, 56, 57, 60-61



ვალერიან ქარჩავა



ირაკლი ნიბლაძე

**მოიხსნას ვლადიმერ შონია საქართველოს პროკურორის თანამდებობიდან და მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მთელი რიგი სისხლის სამართლის საქმის უკანონოდ შეწყვეტისათვის. სარევიზიო კომისიის წინაშე დადგეს საკითხი მისი პარტიის რიგებიდან გარიცხვის შესახებ;**

**მოიხსნან ცენტრალურ კომიტეტში სამსახურიდან: კონსტანტინე ჭიჭინაძე-პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების განყოფილების გამგე, მიტროფანე კუჭავა – ადმინისტრაციული განყოფილების გამგე და ვახტანგ კუპრავა – ყოფილი ადმინისტრაციული განყოფილების გამგე. კ. ჭიჭინაძე და ვ. კუპრავა გამოყვანილ იქნან საქ. კპ(ბ) ცკ-ის წევრთა შემადგენლობიდან.**

ამ დადგენილების მიღებამდე დაისვა საკითხი (იგი აკაკი მგელაძემ დაჟინებით წამოჭრა) ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივნის **გრიგოლ ჩაჩიბაიას** შესახებ. კანდიდ ჩარკვიანმა პლენუმს განუცხადა, ჩაჩიბაია, რომელიც ბარამიას კეთილგანწყობით სარგებლობდა, კარგა ხანია უნდა მოგვეხსნა, მის საკითხს ცეკას ბიუროზე განვიხილავთო.

**გრიგოლ დუტუს ძე ჩაჩიბაია (1906-1983 წ.წ.).**

***წარმოშობით მარტვილის რაიონიდან იყო. პარტიული მუშაობა ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციის მდივნობით დაიწყო. 1937 წელს გეგეჭკორის რაიკომის მეორე მდივანი გახდა. 1938 წელს ზუგდიდის რაიკომის პირველ მდივნად აირჩიეს. ამ თანამდებობაზე კირილე ბეჭვაია შეცვალა. იქ უცვლელად იმუშავა 1951 წლამდე. იყო კარგი ორგანიზატორი, ზრუნავდა ქალაქის გამწვანება-კეთილმოწყობისთვის. 1951-1953 წ.წ. დაპატიმრებული იყო. განთავისუფლების შემდეგ მუშაობდა ტუნგოს ტრესტის მმართველად თბილისში, აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელად. იყო სოციალისტური შრომის გმირი.***

**ამბობენ, ლეფორტოვის ციხიდან განთავისუფლების შემდეგ ლ. ბერიამ მასთან მიყვანილ გრ. ჩაჩიბაიას წინ ზუგდიდში დადგმული სტალინის ძეგლის სურათი დაუდო და სარკასტულად უთხრა, ამ კაცისთვის იკლავდი თავსო?**

* * *

**პლენუმის მეორე დღე მთლიანად ორგანიზაციულ საკითხებს დაეთმო. საფუძვლიანად იმუშავეს პლენუმის გადაწყვეტილების ტექსტზე.**

კანდიდ ჩარკვიანის წინადადებით პროკურორისა და სასამართლო ორგანოების მუშაობის შეფასება **„არადამაკმაყოფილებელი“ შეცვალეს „სრულიად არადამაკმაყოფილებლით“**, იქ, სადაც ეწერა **„რევოლუციური კანონიერება“**, ახალი ტერმინოლოგიის შესაბამისად, ჩაწერეს **„საბჭოთა კანონიერება“.**

პირველ მდივანს შეახსენეს, რომ მიხა ბარამიამ თავი დამნაშავედ არ ცნო და სკპ(ბ) ცკ-ის დადგენილება კანონად არ მიიღო. კანდიდ ჩარკვიანმა გაღიზიანებულმა უპასუხა, ბარამია ცნობს თუ არ ცნობს, ამას მისთვის აქვს მნიშვნელობა, სხვებისთვის კი არაო. შემდეგ მიუთითა, საჭიროა ხაზი გაესვას ემიგრანტ ევგენი გეგეჭკორის ჯაშუშური ჯგუფის მტრული მოქმედების სერიოზულ საფრთხესო (თითქოს გრძნობდა, რომ თანდათან ეს მიმართულება გახდებოდა მთავარი „ბარამიაზმის“ წინააღმდეგ ბრძოლაში) და მოითხოვა, დადგენილებას დამატებოდა სიტყვები: **„არ შენელდეს ბრძოლა სხვა ელემენტების მიმართაც, დაუნდობლად ვამხილოთ და ამოვძირკვოთ ისინი“**. ოღონდ, არ დაუკონკრეტებია ვინ „ისინი“, რა ჯურის „სხვა ელემენტებზეა“ ლაპარაკი, ვის მიმართაც არ უნდა შენელდეს ბრძოლა და ამოძირკვის ღონისძიებები. ეს 30-იანი წლებიდან გადმოყოლილი ტენდენციაა – ბრძოლა ზოგადად მტრის წინააღმდეგ, როცა მტერი, ნემსის და აქლემის ქურდის მსგავსად თანაბარ ხარისხში განიხილება – შინაურებში „კრამოლურ“ ანეკდოტს ჰყვება თუ კრემლის აფეთქებას აპირებს.



ქართველი დეპუტატები სსრკ უმაღლესი საბჭოს სესიაზე. მარცხნივ — კონსტანტინე ჭიჭინაძე, მესამე — ვასო სიხარულიძე, მეორე რიგში — გრიგოლ კოკაია, მესამე რიგში — სიმონ ჩიქოვანი.

პლენუმმა სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია მიხა ბარამიას გამოსვლა, აღნიშნა, რომ მან ვერ გაიაზრა სკპ(ბ) ცკ-ის დადგენილება, გულწრფელობა არ გამოიჩინა პლენუმის წინაშე, ბოლომდე არ აღიარა თავისი შეცდომები და დაადგა კპ(ბ) ცკ-ის დადგენილების ცალკეული პუნქტების გაბიაბრუების გზას. ეს მის არაპარტიულობაზე მეტყველებს, იგი აგრძელებს პარტიის მოტყუებასო.

პლენუმმა ასევე არადამაკმაყოფილებლად ჩათვალა კონსტანტინე ჭიჭინაძის გამოსვლა. მან პლენუმს არ უამბო “თავისი არასწორი ანტიპარტიული მოქმედებების შესახებ“.

საქმიანი წინადადება შეიტანა აკაკი მგელაძემ: ტექსტში აღინიშნოს **„მლიქვნელობისა და მაამებლობის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა“.**

გადაწყვეტილებას ერთხმად იღებენ – **„დაიგმოს, ამოიძირკვოს!“**

„ბარამიას ანტიპარტიულ ჯგუფთან“ ბრძოლა ეშხში შედის.

***ნიუანსი:***

***პლენუმის პირველ დღეს სახელმწიფო უშიშროების მინისტრმა ნიკოლოზ რუხაძემ თავისი მოადგილე გენერალი ირაკლი ნიბლაძე ამხილა, ბარამიას დასთან ლიდასთან საეჭვო საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა, თავისთან სახლშიც კი შეხვდაო.***

***ი. ნიბლაძემ სასტიკად იუარა, ჩემთან არასდროს არ ყოფილა, სულ ერთხელ შევხვდი სხვის ოჯახში, სუფრაზეო.***

***და რა გგონიათ, პლენუმის მეორე დღეს ნ. რუხაძემ აღიარა, შევცდი, ი. ნიბლაძე მართლაც სხვის ოჯახში შეხვედრია ლიდა ბარამიასო.***

აქ ძალაუნებურად ისმის კითხვა: კი მაგრამ, რატომ დაინტერესდა ასე ცხოვლად პლენუმი, თუ სად შეხვდა გენერალი ნიბლაძე ლიდა ბარამიას, ან რატომ ჰქონდა პრინციპული მნიშვნელობა ნ. რუხაძისთვის, რომ თავისი მოადგილე ქვეყნის პარტიული ელიტის წინაშე გაეშავებინა, ლიდა ბარამია ჰყავდა სტუმრადო, ი. ნიბლაძისთვის კი იმის დამტკიცებას, რომ ეს ასე არ ყოფილა?

საქმე ის არის, რომ მიხა ბარამია უკვე კეთროვანია. ავტომატურად კეთროვანია მისი ყველა ახლობელიც. ნ. რუხაძემ ყველაზე უკეთ იცის, რა მოელის ამ კეთროვანს: ხვალ თუ ზეგ, არა მარტო მიხა ბარამიას, არამედ მის ცოლსა და დასაც დააპატიმრებს. და შეიძლება რიკოშეტით თავისი არასასურველი მოადგილეც თავიდან მოიშოროს. ეს, ალბათ, ამ სკამმორყეულმა მოადგილემაც იცის, ამიტომ უარყოფს ლიდა ბარამიას ნაცნობობას ასე თავგამოდებით (სხვათა შორის, ნ. რუხაძე მოგვიანებით ცდილობდა გამომძიებლის მეშვეობით პატიმართაგან, კერძოდ, მიხა ბარამიასგან, ჩვენებები მოეპოვებინა გენერალ-მაიორ ი. ნიბლაძეზე, რომელიც სძულდა, რადგან ეს კაცი არ მალავდა და ხმამაღლა ლაპარაკობდა რუხაძის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე).

მაგრამ ამ ამბავს სხვა გაგრძელებაც აქვს. გამარჯვებულმა ირაკლი ნიბლაძემ ეტყობა, ემოციები ვერ მოთოკა და გულმოცემულმა მიხა ბარამიას მიმართ ისეთი უკადრისი სიტყვები იხმარა, რომ კანდიდ ჩარკვიანმა მკაცრად შეაწყვეტინა, ბარამიას საკითხი ახლა წამოიჭრა, არც ჩვენ და არც თქვენ არ ვიცოდით, რა კაციც ყოფილა, ამგვარი სიტყვები არა მარტო იმათ მიმართ არ უნდა წარმოთქვათ, ვინც შეიძლება შემდეგში გამოშკარავდნენ, არამედ საერთოდ არავის მიმართო და ორჯერ მოახდევინა ბოდიში გენერალ-მაიორს.

პლენუმზე, ი. სტალინის მითითების შესაბამისად, შეიქმნა საქართველოს კომპარტიის თბილისისა და ქუთაისის საოლქო კომიტეტები. როგორც ჩანს, ი. სტალინს უბრალო საკადრო წმენდა არ აკმაყოფილებდა. გამოცხადდა საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესახებ თბილისისა და ქუთაისის ოლქების შექმნასთან დაკავშირებით. ახალ ოლქებში აირჩეოდა აღმასკომები **„საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ხელმძღვანელობის მნიშვნელოვანი შეცდომების და პოლიტიკური ფიასკოს შედეგების ლიკვიდაციის მიზნით“.**

რათა ქვეყანა გარანტირებული ყოფილიყო ნაციონალისტური საფრთხისაგან, სტალინმა ცენტრის პარალელურად მოამძლავრა და მრისხანე მუშტად შეკრა რეგიონული (საოლქო) ხელმძღვანელობა. ეს გადაწყვეტილება მხოლოდ 1953 წლის აპრილში გაუქმდა. სამართლიანობის მიზნით უნდა ითქვას, რომ ოლქების შექმნის შესახებ გადაწყვეტილებები იმ პერიოდში სხვა რესპუბლიკებსა და ეროვნულ ავტონომიებშიც მიიღეს.

საოლქო კომიტეტების პირველ მდივნებად დამტკიცდნენ მანამდე საქალაქო კომიტეტების პირველი მდივნები **მიხეილ ლელაშვილი** (თბილისი) და **აკაკი მგელაძე** (ქუთაისი). ისინი ცეკას ბიუროს წევრებად აირჩიეს. ცეკას ბიუროს წევრად აირჩიეს მანამდე წევრობის კანდიდატი, სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ნიკოლოზ რუხაძეც.

ამრიგად, დასასრულ კანდიდ ჩარკვიანმა აღნიშნა, რომ განხილვა მთლიანობაში დამაკმაყოფილებლად ჩატარდა, დასახელდა ზოგიერთი ახალი გვარი, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ცოტა დასახელდა, ამ ჯგუფთან გაცილებით მეტი ადამიანია დაკავშირებული, ვიდრე ითქვა (ადგილიდან – სწორია!). ეს გვავალდებულებს, გასაქანი არ მივცეთ იმათ, ვინც დაკავშირებული იყო ბარამიასთან და მონაწილეობდა ძირგამომთხრელ საქმიანობაში. ეს ჯგუფი ისე უნდა გავანადგუროთ, რომ მასზე მოგონებაც კი არ დარჩესო.

**ყურადსაღები ინფორმაცია:**

**2004 წლის ოქტომბერში ტელეკომპანია “რუსთავი-2“-მა მაყურებელს უჩვენა გელა ჩარკვიანის საავტორო დოკუმენტური ფილმი “ქართველები კრემლში და კრემლს გარეთ“. მასში კანდიდ ჩარკვიანი ასე ხსნის სტალინური საოლქო კომიტეტების წამოწყების არსს (მისი საუბარი ვიდეოფირზე ჩაწერილია 1980-1990 წლების მიჯნაზე): „მაშინ საქართველოს პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებში ჭარბობდნენ მეგრელები. იმერლები, გურულები, ქართლელები და კახელები კი შედარებით ცოტანი იყვნენ. და, აი, დასავლელების თბილისისკენ სწრაფვა რომ შეეჩერებინათ, ისინი რომ დასავლეთშივე დარჩენილიყვნენ, აღმოსავლელნი კი უფრო წამოწეულიყვნენ წინ თბილისში, სტალინმა დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო ადმინისტრაციულად გამიჯნა ერთმანეთისგან“.**

* * *

**ასეთი იყო „დღე პირველი“**

შევაჯამოთ: სამი კაცი (ძმები ა. და ი. რაფავები და ვ. შონია) უკვე დაპატიმრებულია, რამდენიმე მსხვილი პარტიული ფუნქციონერი დასჯილია პარტიული ხაზით. რაც მთავარია, აფეთქებულია ნაღმი, რომელმაც ზვავი უნდა დაძრას და ქვეშ თითქმის მთელი სამეგრელო მოიყოლოს. და არა მხოლოდ სამეგრელო (გაიხსენეთ: „არასაკმარისი რიცხვი დასახელდა... ამ ჯგუფთან გაცილებით მეტი ადამიანია დაკავშირებული, ვიდრე ითქვა... გასაქანი არ მივცეთ იმათ...“).

თითქმის ყველა, ვინც პლენუმზე დაგმო **„ბარამიას და მისი ჯგუფის ანტიპარტიული საქმიანობა, რის გამოც ისვრებიან პატიოსანი მეგრელები“** – კირილე ბეჭვაია, რაფიელ კვირკველია, ვალერიან გუგუნავა, გრიგოლ კოკაია, გრიგოლ კარანაძე, მიხეილ კვარაცხელია და სხვები, ხვალ სწორედ ამ „ანტიპარტიული ნაციონალისტური ორგანიზაციის“ წევრები აღმოჩნდებიან და ნომენკლატურული სავარძლებიდან პირდაპირ ციხის ნარებზე გადაინაცვლებენ. მაგრამ ჯერ, დროებით, სანამ ნ. რუხაძის ოპრიჩნიკები ყელში სწვდებიან, ისინი „გმობენ“, რადგან სხვაგვარად თვითონაც ავტომატურად ჩაირიცხებიან დასაგმობთა რიცხვში (ბოლოს მაინც ასე მოხდა!). აკი ცხაკაიას რაიკომის პირველ მდივანს ვალერიან გუგუნავას სიტყვით გამოსვლისას მგლებივით წაესივნენ პლენუმის წევრები, შენც ბარამიას კუდი ხარო. გვარიანი შიში ჭამა წალენჯიხის რაიკომის პირველმა მდივანმა მიხეილ კვარაცხელიამაც, დიდი ჯაფით შეძლო რეპლიკების დელგმის მოგერიება.

**(გაგრძელება იქნება)**



გრიგოლ ჩაჩიბაია

**„განტევების ვაცი: ტრამპ-პუტინის გარიგება ზელენსკის დასამხობად არის მიმართული“**, – ასეთი სათაური აქვს ბრიტანულ გაზეთ **„თაიმსში“ (The Times)** გამოქვეყნებულ სტატიას, რომლის ავტორია როჯერ ბოიესი, დიპლომატიური კორესპონდენტი. იგი წერს, რომ დონალდ ტრამპი ვლადიმერ პუტინის მიერ დაგებულ მახეში გაება – კრემლი თეთრ სახლს თავისი ინტერესების რეალიზებისათვის იყენებს.

**გთავაზობთ პუბლიკაციის შინაარსს:**

THE TIMES

ROGER BOYES

**Fall guy: Trump's Russia deal is aimed at ousting Zelensky**

The president of Ukraine, resented for his global popularity, has been sacrificed. The American president has walked unblinking into a Kremlin trap



# განტევების ვაცი ისევ ზელენსკია!

## დიდი ბრიტანეთი დონალდ ტრამპს დაუნდობლად აკრიტიკებს!..

**ამბობდნენ, რომ მშვიდობის მქადაგებელ პაპ ფრანცისკეს დაკრძალვის დღეს ცაში მშვიდობის მტრედი აფრინდება და რომში (ვატიკანში) შეკრებილი მსოფლიო ლიდერები უკრაინაში მშვიდობის დამყარებაზე მოილაპარაკებენო, მაგრამ სამწუხაროდ შაბათს ვატიკანში მსგავსი არაფერი არ მომხდარა.**

დიახ, რომში მყოფი ვოლოდიმირ ზელენსკი შეხვდა დონალდ ტრამპს და სხვა ევროპული ქვეყნების ლიდერებს, მაგრამ რაიმე ერთობლივი დოკუმენტი არ მიუღიათ (და ვერც მიიღებდნენ, რადგან შეხვედრა არ იყო ოფიციალური ღონისძიება და მხოლოდ შეხვედრად დარჩა).

ამბობენ, დონალდ ტრამპს ვოლოდიმირ ზელენსკისთან შეხვედრის შემდეგ რუსეთის მიმართ ეჭვები გაუჩნდა - მართლაც სურს თუ არა კრემლს მშვიდობის დამყარება, მაგრამ განა აშშ-ის პრეზიდენტი თავის „ქვაზე ამოკვეთილ“ გეგმას შეცვლის? ეს ნამდვილად არ არის საბაჟო-სავაჭრო ტარიფების შემთხვევა, როცა დონალდ ტრამპმა ჯერ გადაწყვეტილება მიიღო მათი გაზრდის შესახებ, მაგრამ შემდეგ პოზიცია შეიცვალა.

ვოლოდიმირ ზელენსკის მთავრობა ხისტი ცაიტნოტის წინაშე აღმოჩნდა: არა მარტო იმის გამო, რომ დონალდ ტრამპს სურს გამარჯვების წრე დაარტყას თავისი პრეზიდენტობის მე-100 დღეს თეთრი სახლის გარშემო 30 აპრილს, არამედ იმიტომაც, რომ ვლადიმერ პუტინს სურს თავისი გენიოსობით წაიყოყოჩოს 9 მაისს დაგეგმილ სამხედრო აღლუმზე, ადოლფ ჰიტლერზე იოსებ სტალინის გამარჯვების 80 წლისთავთან დაკავშირებით.

დონალდ ტრამპის ე.წ. „სამშვიდობო გეგმა“ შემუშავების დღიდანვე სხვა არაფერი არ იყო, თუ არა რუსეთ-ამერიკის ერთობლივი გარიგება (პირის შეკვრა) უკრაინის ხელისუფლების უკანა პლანზე გადაწევისა და ქვეყნის მომგებიანი დარგების დაუფლებისთვის. თეთრი სახლისა და კრემლის სტრატეგიული მიზანია ვოლოდიმირ ზელენსკის ავტორიტეტის დაცემა და მისი მთავრობის კრახი. დონალდ ტრამპი ვოლოდიმირ ზელენსკის ხვდება და ესაუბრება, მაგრამ გულის სიღრმეში იგი სძულს, კონკურენტად აღიქვამს, რადგან უკრაინის მეთაური მსოფლიოში აშშ-ის ლიდერზე უფრო პოპულარულ პიროვნებას წარმოადგენს. ამიტომაც აშშ-ის 47-ე პრეზიდენტმა უკრაინის მე-6 პრეზიდენტი განტევების ვაცად გადააქცია იმ მიზნით, რომ ყველას ჩაუნერგოს აზრი – ჯო ბაიდენი მხარს უჭერდა მხოლოდ უიღბლო და წარუმატებელ ადამიანებს.

დონალდ ტრამპი, თუ იგი მართლაც დაამხობს უცხო ქვეყნის ლიდერს, წარმოჩინდება როგორც უფლის რისხვის აღმსრულებელი, ხოლო ხელოვნური ომების ეპოქაში ისეთი სიგნალის მიმცემი, რომ მსოფლიომ დონალდ ტრამპისეული ამერიკა უფლის ნებად უნდა აღიქვას. ევროპაში მშვიდობის დამყარება დონალდ ტრამპისათვის მეორეხარისხოვანია, რომელიც თავის მთავარ მოწინააღმდეგედ პატივმოყვარე ჩინელ სი ძინპინს თვლის. ასევეა ვლადიმერ პუტინისთვისაც, რომელიც, გაანეიტრალებს რა უკრაინას, გადაიქცევა კონფლიქტების მუდმივ გამჩაღებლად ევროპის ეზოში.

უკრაინაში მშვიდობის დამყარების შემდეგ, ალბათ, ხელისუფლება მართლაც შეიცვლება – შეიქმნება ეროვნული ერთიანობის კოალიციური მთავრობა, რომელსაც, ალბათ, ბიზნესმენი პეტრო პოროშენკო უხელმძღვანელებს. სავარაუდოდ, კოალიციური ხელისუფლება როგორმე გადაიტანს ყირიმისა და დონბასის რუსეთისადმი გადაცემას.

რთულია იმის წარმოდგენა, რომ ვოლოდიმირ ზელენსკი გარდაიქმნება და კომპრომისზე დათანხმდება, თუნდაც ტრამპისა და პუტინის ორმაგი წნეხის ქვეშ. იგი საკმაოდ ახალგაზრდაა და შესაბამისად, მოესწრება დონალდ ტრამპის იმქვეყნად წასვლას და, ალბათ, ვლადიმერ პუტინის სიკვდილსაც. მაგრამ დღევანდელი რეალობით, ვოლოდიმირ ზელენსკის პოლიტიკური სივრცე ყოველდღიურად მცირდება.

დონალდ ტრამპის აშკარა წარმატება იმით გამოიხატება, რომ მან ხელ-ფეხი შეუკრა გაოგნებულ ევროპას და იძულებული გახადა სამხედრო თავდაცვითი ხარჯები გაედიდებინა – თუნდაც უკრაინის ნაწილობრივ დასახმარებლად. ამის მიუხედავად, ევროპელი ლიდერები მის უკანდახევას უკრაინის „რკინისებური მხარდაჭერიდან“ დამცირებად თვლიან.

ევროპელებმა თავი უხერხულ სიტუაციაში იგრძნეს, როცა მარკო რუბიომ ლონდონის სამიტზე თავისი ვიზიტი გააუქმა, ხოლო ტრამპის სპეცდესპანი სტივ უოტკოფი, ლონდონის ნაცვლად, მოსკოვში გაემგზავრა.

სამშვიდობო გეგმა ყველა თვალსაზრისით შეუმდგარია: ის მოწოდებულია თითქოსდა პუტინის მოქნილობა დააფიქსიროს, მაგრამ იურიდიულად აღიარებს ყირიმის ანექსიას და დონბასის საოკუპაციო ხელისუფლების სტატუსს (თუნდაც დროებით, მაგრამ მაინც). გეგმა ასევე პირობას აძლევს რუსეთს, რომ უკრაინა ვერასოდეს ვერ გახდება ნატოს წევრი, ამერიკა გააუქმებს ანტირუსულ სანქციებს და რომ უკრაინას არ ექნება უსაფრთხოების გარანტიები. ასევე გაქრა იმის იმედიც, რომ უკრაინის დანგრეული ეკონომიკა რუსული გაყინული ფინანსური რეზერვებით აღდგებოდა.

უკრაინა გახდება სწორედ ისეთი, როგორიც ვლადიმერ პუტინს სურს: ღარიბი, დანაწევრებული და არათავდაცვისუნარიანი ქვეყანა. უფრო მეტიც, შეიძლება ახლო მომავალში მას რუსეთის მეგობარი პრეზიდენტი ჰყავდეს. არ არის გამორიცხული, რომ უკრაინის იმ ნაწილებში, რომელიც რუსეთს გადაეცემა, პარტიათაშორისო ომი ატყდეს.

**დონალდ ტრამპი ერთადერთი არ არის, ვისაც ამ უწესრიგობის გამო პასუხისმგებლობა მოუწევს. მან თვალის დახამხამებაც კი ვერ მოასწრო, ისე აღმოჩნდა კრემლის მახეში. ვოლოდიმირ ზელენსკის და მის მრჩევლებსაც უნდა გაეთვალისწინებინათ ის, თუ რა მოჰყვებოდა აშშ-ის ადმინისტრაციის შეცვლას. ისინი უნდა დაეთანხმონ იმას, რომ უკრაინა სამხედრო ჩიხშია შესული და ამიტომ ერთადერთ გამოსავალს ცეცხლის შეწყვეტა და დასავლელ სპონსორებთან ურთიერთობის ხელახალი გააზრება წარმოადგენს.**



მოამზადა
**სიმონ კილაძემ**



## პუტინი „ამხანაგ“ კიმს მადლობას უხდის!

# კურსკში უკრაინელი „ნეონაცისტების განადგურებაში“ კიმ ჩენ ინის მეომრებიც მონაწილეობდნენ!

**რუსეთის და ჩრდილოეთ კორეის მეთაურებმა, ვლადიმირ პუტინმა და კიმ ჩენ ინმა სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულება 2024 წლის 19 ივნისს ფხენიანში გააფორმეს.**

**რუსეთის და ჩრდილოეთ კორეის მეთაურებმა, ვლადიმირ პუტინმა და კიმ ჩენ ინმა სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულება 2024 წლის 19 ივნისს, ფხენიანში გააფორმეს.**

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ჩრდილოეთ კორეას მადლობა გადაუხადა კურსკის ოლქში „კიევის რეჟიმის ნეონაცისტური ფორმირებების განადგურებაში“ მონაწილეობისთვის.

კრემლის საიტზე 28 აპრილს გამოქვეყნებულ განცხადებაში პუტინი საჯაროდ პირველად აღიარებს, რომ რუსეთის კურსკის ოლქში უკრაინის შეიარაღებულ ძალებთან საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობდნენ ჩრდილოეთ კორეის არმიის სპეცდანიშნულების რაზმის მებრძოლებიც.

პუტინის თანახმად, ჩრდილოეთ კორეამ რუსეთს დახმარება გაუწია ორ ქვეყანას შორის 2024 წლის 19 ივნისს გაფორმებული სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულების მეოთხე მუხლის საფუძველზე, რაც რომელიმე მხარეზე თავდასხმის შემთხვევაში ითვალისწინებს დაუყოვნებლივ სამხედრო დახმარებას.

**რუსეთის პრეზიდენტი მადლობას უხდის ჩრდილოეთ კორეის მეთაურს, „ამხანაგ“ კიმ ჩენ ინს. პუტინის განცხადებით, სათანადოდ აფასებენ ამ ქვეყნის მეომრების „გმირობას, სპეციალური მომზადების მაღალ დონეს და თავგანწირვას“ და „რუსი ხალხი არასდროს დაივიწყებს სპეცდანიშნულების კორეელი მებრძოლების გმირობას“.**

კრემლის საიტზე გამოქვეყნებული განცხადების თანახმად, „ყოველთვის პატივს მიაგებენ კორეელ გმირებს, რომლებმაც სიცოცხლე გასწირეს რუსეთისთვის, საერთო თავისუფლებისთვის“.

ჩრდილოეთმა კორეამ პირველად დაადასტურა უკრაინასთან ომში თავისი სამხედროების მონაწილეობა

**უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა რუსეთის კურსკის ოლქში, რომელიც უკრაინის სუმის ოლქს ესაზღვრება, სახმელეთო ოპერაცია 2024 წლის აგვისტოში დაიწყეს. ამ ოპერაციის მიზნად გამოცხადდა სასაზღვრო რაიონების დასაცავად უსაფრთხოების, ე.წ. ბუფერული ზონის შექმნა. 2025 წლის 26 აპრილს რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა ვალერი გერასიმოვმა პრეზიდენტ პუტინს მოახსენა, რომ კურსკის ოლქი სრულად გაათავისუფლეს და ამ პროცესში მნიშვნელოვნად დაეხმარნენ ჩრდილოეთ კორეის სამხედროები.**

გერასიმოვის ეს განცხადება იყო რუსეთში ჩრდილოკორეელი ჯარისკაცების ყოფნის პირველი ოფიციალური დადასტურება. ამის შემდეგ, 28 აპრილს ფხენიანმა თავადაც დაადასტურა რუსეთის დასახმარებლად სამხედრო ძალის გაგზავნის ფაქტი.

პირველი ცნობები, რომ ჩრდილოეთ კორეამ რუსეთის არმიის მხარდასაჭერად თავისი სამხედროები გაგზავნა, 2024 წლის ოქტომბერში გავრცელდა. არსებული მონაცემებით, ფხენიანმა რუსეთის დაახმარა სულ მცირე 11 000 სამხედრო. მათგან სავარაუდოდ, 4000 დაიღუპა.



არაერთი წყაროთი დადასტურებულია, რომ ფხენიანი რუსეთს იარაღსაც აწვდის. 2025 წლის აპრილში გამოცემა Newsweek-ი სამხრეთ კორეის თავდაცვის ანალიზის ცენტრზე დაყრდნობით წერდა, რომ ამ გზით ჩრდილოეთმა კორეამ 20 მილიარდი დოლარის შემოსავალი მიიღო.

**კურსკის ოლქის გათავისუფლების შესახებ რუსეთის განცხადებიდან მეორე დღეს, 27 აპრილს უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა, რომ უკრაინელი სამხედროები განაგრძობენ აქტიურ დამცავ მოქმედებებს კურსკის და ბელგოროდის ოლქების გარკვეულ რაიონებში.**

# ქალი და რა ქალი!..



**გოლოსდაგოლოს, ქართულ სპორტშიც იმსხვრევა სტერეოტიპი – ძიუდო მხოლოდ კაცების საქმეაო. თუ ჯერ კიდევ არიან ურწმუნო თომები, მონტენეგროს დედაქალაქ პოდგორიცაში განვითარებულ მოვლენებს გაუსწორონ თვალი, სადაც ევროპის შერეული გუნდური ჩემპიონატის ბედი სწორედ მანდილოსანმა ჭვაროსნებმა გადაწყვიტეს.**

ეს იყო აღნიშნული ფორმატით გამართული მე-4 ფორუმი და **ლაშა გუჯეჯიანის** შეგირდთა მე-3 ტრიუმფი, მაგრამ განსაკუთრებით საამაყოა, რომ ამჯერად ომახიანი სიტყვა **გია თენაძის** ნაამაგარმა უკვე მრისხანე ტრიომ თქვა **მარიამ ჭანტურიას**, **ეთერ ლიპარტელიანისა** და **სოფიო სომხიშვილის** შემადგენლობით. ბარაქალა მათ!

ვიდრე კვანძის გახსნაზე გადავალთ, გაუწყებთ, რომ შედარებით იოლი ბადის ფაქტორი ჩვენებურებმა იდეალურად გამოიყენეს და ფინალამდე მეტოქეებს მხოლოდ 1 ბრძოლა დაუთმეს: აზერბაიჯანთან – 4:0, ავსტრიასთან – 4:1 და გერმანიასთან – 4:0, ოღონდ ის ერთადერთი წაფორხილება საკმაოდ ძვირი დაგვიჯდა – მხარი ამოუგდო და მაყურებლებში გადაინაცვლა **ლაშა შავდათუაშვილმა.** საბედნიეროდ, ლიდერის არყოფნამ კავკასიელ ქალვაჟთა ექვსეული კიდევ უფრო შეადუღაბა და ძლევაი საკვირველიც გამოიჭედა!

**ფინალი.** საქართველო – იტალია 4:3. რასაკვირველია, ყველა ტიტული ძვირფასია, მაგრამ ბალკანურს მაინც სხვა ფასი აქვს, რადგან რევანში ავიღეთ შარშან პარიზის ოლიმპიადაზე ამავე ანგარიშით დამარცხებისთვის და, რაც კიდევ უფრო შთამბეჭდავია, 1:3-ზე თითქმის უიმედო ვითარებაში ვიპოვეთ ღირსეული გამოსავალი.

სიმბოლურია, რომ ოქროს იპონით სოფიო სომხიშვილმა გაიმარჯვა, რომელმაც რამდენიმე წუთის წინ აგვანერვიულა.

**მოკლედ, ყოჩაღ და გილოცავთ!**

# ფიფას დახმარებით ვარკეთილის საფეხბურთო ცენტრში ახალი მოედანი გაიხსნა

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვარკეთილის საფეხბურთო ცენტრში (ვიქტორ კუპრაძის და იოთამ ზედგინიძის ქუჩების კვეთაზე) განახლებული მოედანი გაიხსნა.**

მოედანს რეაბილიტაცია ჩაუტარდა ფიფას პროექტის, „ფიფა არენის“ ფარგლებში. ასევე განახლდა მოედანი სფფ-ის გლდანის საფეხბურთო ცენტრში. ფიფას პროექტით, წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ ორივე ცენტრში უმაღლესი ხარისხის ხელოვნური საფარი დააგეს.

ვარკეთილის განახლებულ სტადიონს, სფფ-ის მენეჯმენტთან ერთად, ფიფას წევრი ასოციაციების ხელმძღვანელი **ელხან მამადოვი** და პროექტის „ფეხბურთი სკოლებში“ მენეჯერი **ნიკო ნუვანასაკი** ეწვივნენ. ისინი თბილისში სპეციალურად ამ ღონისძიებაზე დასასწრებად ჩამოვიდნენ.

განახლებულ მოედნებს ადგილობრივი საფეხბურთო სკოლების აღსაზრდელები და პროექტ „ფეხბურთი სკოლებში“ ჩართული გუნდები გამოიყენებენ.

საქართველო არის პირველი ქვეყანა, სადაც „ფიფა არენის“ პროექტის ფარგლებში ახალი მოედანი გაიხსნა.







# ყინულიც ჩვენია!

**ახალ ზელანდიაში გამგზავრებამდე საქართველოს ჰოკეისტთა ნაკრების პროგრესს სპეციალისტებიც უსვამდნენ ხაზს და თვით გუნდის წევრებიც ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილნი, რისი საფუძვლიანობაც მსოფლიოს ჩემპიონატის მე-2 დივიზიონის „ბ“ ჯგუფის სასტარტო შეხვედრებმაც დაადასტურა – ჯერ ჯვაროსნებს 1 შაიბაც კი არ გაუშვიათ და, თანაც, ორივე ბრძოლა დამაჯერებლად მოიგეს, მათ შორის ტურნირის დაწყებამდე ფავორიტად მიჩნეულ მასპინძლებთან.**

**საქართველო – ისლანდია 4:0.** გატანილი შაიბების ავტორები: **ბუკია – 3, ბეშაროვი.**

**საქართველო – ახალი ზელანდია 5:0.** გატანილი შაიბების ავტორები: **ბეშაროვი – 2, ნიკიშანინი, მეტლიუკი, დავიდოვი.**

შეგახსენებთ, რომ 6 მონაწილიდან მე-2 დივიზიონის „ა“ ჯგუფში მხოლოდ პირველადგილოსანი დაწინაურდება.

დღეს ჩვენებურთა მეტოქეები ბულგარელები იქნებიან.

# აფრიკელები – ქუთაისში

**უკვე გაუწყეთ, რომ მუნდიალ – 2026-ის საშემოდგომო შესარჩევი რაუნდის წინ ვილი სანიოლის გაწვრთნილი ჯვაროსნები თბილისსა და ქუთაისში 5 და 8 ივნისს მოსამზადებელ სპარინგებს გამართავენ ფარერებსა და კაბო ვერდესთან.**

ვინაიდან ჩრდილოელებზე საკმაოდ ინფორმირებულნი ვართ და მათთან ბურთიც გაგვიგორებია, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება აფრიკელთა გაცნობა. მაშ ასე, წარმოგიდგენთ ეგზოტიკურ მეტოქეს.

პორტუგალიის ყოფილი კოლონია, იგივე მწვანე კონცხი, ატლანტის ოკეანის პატარა კუნძულოვანი სახელმწიფოა და დამოუკიდებლობა 50 წლის წინათ – 1975-ში მოიპოვა. შავი კონტინენტის ეროვნებათა თასის 4-გზის მონაწილე წარმატებით იბრძვის საგაისო მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლში და უკვე ორივე მატჩი მოიგო, მათ შორის, სტუმრად ანგოლასთან. გუნდის მთავარი მწვრთნელია 55 წლის **პედრო ლეიტაუ ბრიტუ** (ბუბიშტა), რომელიც თავის დროზე ცენტრალური მცველის პოზიციაზე ესპანურ გადახოსსა და პორტუგალიურ ეშტორილში თამაშობდა, მთლიანად ნაკრების სატრანსფერო ფასი კი 38 მილიონი ევროა, ხოლო საშუალო ასაკი – 29 წელი.

დავძენთ, რომ ჩვენს მომავალ სტუმართა დიდი ნაწილი სწორედ პორტუგალიაშია დაბადებულ-გაზრდილი და სამშობლოს სპორტულ ღირსებას ლეგიონერის სტატუსით იცავს, მათგან ყველაზე ცნობილი კი ვეტერანი თავდამსხმელი **ბებე** მანჩესტერ იუნაიტედშიც ირიცხებოდა.




# მართალი გომართელი



**იგი საქართველოს ჩემპიონი იყო ცურვაში, სსრკ ჭაბუკთა ნაკრების შემადგენლობაში მაროკოს დედაქალაქ კასაბლანკაშიც იასპარეზა საერთაშორისო ტურნირზე, მაგრამ ჩვენ განსაკუთრებით მისი პიროვნული თვისებები გვეძვირფასებოდა.**

მოწოდებით ლიდერს, „პარადი მიჰყავდა“ სკოლაშიც, „გეპეის“ სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზეც, უბანშიც, სამეგობროშიც, დიდ და საკუთარ ოჯახებშიც, სასპორტო სარბიელზეც, საწვრთნელ შეკრებებზეც, „პაეზდკებშიც“, შრომით სემესტრებშიც, სუფრაზეც და, მოგვიანებით – შედარებით უკვე მცირე დოზით კომპანია „მორკინალშიც“, სადაც **ჯონი გიგანი** და სულმნათი **ბესო ხარძიანი**, რომ იტყვიან, თავს ევლებოდნენ როგორც სიცოცხლეში, ისე დანატოვარსა და მის ნათელ ხსოვნას – უკვე მართალთა განსასვენებელში გადანაცვლების შემდეგ. მადლობა მათ კაცობისთვის!

თითქოს დავხატეთ **მამუკა გომართელის** ზოგადი პორტრეტი, მაგრამ ეს მაინც ზღვაში წვეთია იმ შესაფასებელ სტრიქონთაგან, რომლებსაც ეს ზნეკეთილი ვაჟკაცი იმსახურებს. ალბათ, გამორიცხულია, სათქმელი ბოლომდე ვთქვათ, იმდენად მდიდარი სულიერი სამყარო ამკობდა ჩვენს მარადიულ ტკივილს.

ვფიქრობთ, უფლის უზენაესი ნებითაც მოხდა, რომ გიორგობა დღეს დატოვა საწუთრო.

**გვენატრები, ძმაო „კიკიჩ“!**

**ზურა კუჭუხიძე,
გოჩა რობაქიძე, გია პლატონიშვილი.**

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{1}6$ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ანასტასია ივანიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ანასტასია ივანიძე (პ/ნ 01034001078), თბილისი, ზაქარია ვეშაპურის ქ. N9/12; თბილისი, ქურდიანის (ზაქრაძის) ქუჩა N15

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
თბილისი, ქურდიანის (ზაქრაძის) ქუჩა N15 (საკადასტრო კოდი: 01.16.02.024.031 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 26518 ლარი.

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 29 აპრილი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 13 მაისი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის N71271HZP107944625;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1079446

6. **მოვალე:** ანასტასია ივანიძე (პ/ნ 01034001078), თბილისი, ზაქარია ვეშაპურის ქ. N9/12; თბილისი, ქურდიანის (ზაქრაძის) ქუჩა N15

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

8. **აუქციონის პირობები:**

● აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

● მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

● აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.

● აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP107944625; ლოტის ნომერი: 1079446).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 13 მაისის 12:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{1}6$ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს გიორგი გველესიანის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გიორგი გველესიანი (პ/ნ 60001101988), თბილისი, გურამიშვილის გამზირი N14ა, სართული 9, ბინა N905

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** თბილისი, გურამიშვილის გამზირი N14ა, სართული 9, ბინა N905 (საკადასტრო კოდი: 01.12.08.021.010.01.905)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 8000 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 29 აპრილი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 13 მაისი, 14:30 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის N71271HZP107946125;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1079461

**6. მოვალე:** შპს „კომფორტი“ (ს/კ 400199405), თბილისი, გურამიშვილის გამზირი N14ა, სართული 9, ბინა N905;

გიორგი გველესიანი (პ/ნ 60001101988), თბილისი, გურამიშვილის გამზირი N14ა, სართული 9, ბინა N905

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

● აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

● მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

● აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.

● აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP107946125; ლოტის ნომერი: 1079461).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 13 მაისის 12:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{1}6$ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს ავთანდილ მამისაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ავთანდილ მამისაშვილი (პ/ნ 13001054959), მის: გურჯაანი, ს. არაშენდა, მე-10 ქ. N13

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** გურჯაანი, ს. არაშენდა, სათბურთან ვერხვებთან (საკადასტრო კოდი: 51.18.60.295)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 2500 ლარი.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 29 აპრილი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 13 მაისი, 14:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის N71271HZP107945325;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1079453

**6. მოვალე:** ავთანდილ მამისაშვილი (პ/ნ 13001054959), მის: გურჯაანი, ს. არაშენდა, მე-10 ქ. N13;

თამილა მამისაშვილი (პ/ნ 13001054958), მის: გურჯაანი, ს. არაშენდა, მე-10 ქ. N13

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

● აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

● მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

● აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.

● აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP107945325; ლოტის ნომერი: 1079453).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 13 მაისის 12:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{1}6$ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველოს“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს შპს „ლაზეთი დიდი“-ს საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „ლაზეთი დიდი“ (ს/ნ 445706380), მის: ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ, სართული 5, ბინა 503, 52.28 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 05.32.21.013.01.01.503)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის $306^{4}$ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უძრავი ნივთის საწყისი ფასი შეადგენს სარეალიზაციო ქონებაზე კრედიტორის მოთხოვნის ოდენობას - 57000 ლარს დამატებული დღგ - 10260 ლარი და სპეციალისტის მომსახურების საფასური 4064 ლარი დღგ-ის ჩათვლით, სულ 71324 ლარს.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 29 აპრილი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 14 მაისი, 13:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის N71271HZP107963825;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1079638

**6. მოვალე:** შპს „ლაზეთი დიდი“ (ს/ნ 445706380), მის: ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ;
ახმეთ შახინ ეიუფოღლუ 28925327750, U35822463 /თურქეთი/, მის: ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

● აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

● მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

● აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველო“.

● აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველო“, ანგარიშის ნომერი GE02ZB0000003608003964). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP107963825; ლოტის ნომერი: 1079638).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 13 მაისის 18:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველოს“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს შპს „ლაზეთი დიდი“-ს საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „ლაზეთი დიდი“ (ს/ნ 445706380), მის: ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ, სართული 8, ბინა 801, 64.75 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 05.32.21.013.01.01.801)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის $306^{4}$ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უძრავი ნივთის საწყისი ფასი შეადგენს სარეალიზაციო ქონებაზე კრედიტორის მოთხოვნის ოდენობას - 71500 ლარს დამატებული დღგ - 12870 ლარი და სპეციალისტის მომსახურების საფასური 4064 ლარი დღგ-ის ჩათვლით, სულ 88434 ლარს.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 29 აპრილი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 14 მაისი 12:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის N71271HZP107946925;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1079469

**6. მოვალე:** შპს „ლაზეთი დიდი“ (ს/ნ 445706380), მის: ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ; ახმეთ შახინ ეიუფოღლუ 28925327750, U35822463 /თურქეთი/, მის: ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველო“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველო“, ანგარიშის ნომერი **GE02ZB0000003608003964**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP107946925; ლოტის ნომერი: 1079469).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 13 მაისის 18:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველოს“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს შპს „ლაზეთი დიდი“-ს საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „ლაზეთი დიდი“ (ს/ნ 445706380), მის: ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ, სართული 8, ბინა 803, 52.28 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 05.32.21.013.01.01.803)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის $306^{4}$ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უძრავი ნივთის საწყისი ფასი შეადგენს სარეალიზაციო ქონებაზე კრედიტორის მოთხოვნის ოდენობას - 59500 ლარს დამატებული დღგ - 10710 ლარი და სპეციალისტის მომსახურების საფასური 4064 ლარი დღგ-ის ჩათვლით, სულ 74274 ლარს.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 29 აპრილი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 14 მაისი, 14:30 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის N71271HZP107948225;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1079482

**6. მოვალე:** შპს „ლაზეთი დიდი“ (ს/ნ 445706380), მის: ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ; ახმეთ შახინ ეიუფოღლუ 28925327750, U35822463 /თურქეთი/, მის: ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველო“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველო“, ანგარიშის ნომერი **GE02ZB0000003608003964**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP107948225; ლოტის ნომერი: 1079482).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 13 მაისის 18:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველოს“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს შპს „ლაზეთი დიდი“-ს საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „ლაზეთი დიდი“ (ს/ნ 445706380), მის: ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ, სართული 9, ბინა 902, 58.46 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 05.32.21.013.01.01.902)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის $306^{4}$ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უძრავი ნივთის საწყისი ფასი შეადგენს სარეალიზაციო ქონებაზე კრედიტორის მოთხოვნის ოდენობას - 66250 ლარს დამატებული დღგ - 11925 ლარი და სპეციალისტის მომსახურების საფასური 4064 ლარი დღგ-ის ჩათვლით, სულ 82239 ლარს.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 29 აპრილი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 14 მაისი, 14:00 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის N71271HZP107965325;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1079653

**6. მოვალე:** შპს „ლაზეთი დიდი“ (ს/ნ 445706380), მის: ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ; ახმეთ შახინ ეიუფოღლუ 28925327750, U35822463 /თურქეთი/, მის: ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველო“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველო“, ანგარიშის ნომერი **GE02ZB0000003608003964**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP107965325; ლოტის ნომერი: 1079653).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 13 მაისის 18:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{1}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველოს“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს შპს „ლაზეთი დიდი“-ს საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „ლაზეთი დიდი“ (ს/ნ 445706380), მის: ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ, სართული 7, ბინა 701, 64.75 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 05.32.21.013.01.01.701)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის $306^{4}$ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უძრავი ნივთის საწყისი ფასი შეადგენს სარეალიზაციო ქონებაზე კრედიტორის მოთხოვნის ოდენობას - 66250 ლარს დამატებული დღგ - 11925 ლარი და სპეციალისტის მომსახურების საფასური 4064 ლარი დღგ-ის ჩათვლით, სულ 82239 ლარს.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 29 აპრილი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 14 მაისი, 13:30 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის N71271HZP107964425;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1079644

**6. მოვალე:** შპს „ლაზეთი დიდი“ (ს/ნ 445706380), მის: ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ; ახმეთ შახინ ეიუფოღლუ 28925327750, U35822463 /თურქეთი/, მის: ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველო“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველო“, ანგარიშის ნომერი **GE02ZB0000003608003964**). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP107964425; ლოტის ნომერი: 1079644).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 13 მაისის 18:00 საათამდე.

# რუსთავში ახალგაზრდობის ახალი სასახლე გაიხსნა




**გასული საუკუნის 60-იან წლებში დაარსებული მოსწავლე – ახალგაზრდობის სასახლის ადგილზე, ძველის ავთენტური არქიტექტურის, 1800 კვადრატული მეტრი ფართობის, სამსართულიანი ახალი შენობა ახალგაზრდებს უკვე დღეიდან მიიღებს,** – ამის შესახებ ინფორმაციას რუსთავის მერია ავრცელებს.

მათივე ცნობით, ახალგაზრდობის სასახლის ახალი შენობა, რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ, საქართველოს პარლამენტში რუსთავის დელეგატ ირაკლი შატაკიშვილთან და ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულ გიორგი დოხტურიშვილთან ერთად გახსნა.

ღონისძიებას ახალგაზრდობის სააგენტოს ხელმძღვანელი ვახტანგ ბააკაშვილი, რუსთავის მერიის, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" წარმომადგენლები, რუსთაველი ახალგაზრდები და ახალგაზრდობის სასახლის პედაგოგები ესწრებოდნენ.

ნინო ლაცაბიძემ, რუსთავის მერიის ახალგაზრდული პოლიტიკისა და სასახლის ახალი კონცეფციის პრეზენტაცია, გუნდთან ერთად წარადგინა.

**„პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძეს მადლობა მინდა ვუთხრა იმ შესაძლებლობისთვის, რომელიც დღეს, ჩვენს ქალაქს აქვს ახალგაზრდობის სასახლის სახით. ამ სრულიად ახალ შენობაში, ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა, სწორედ ახალგაზრდებთან ერთად დაგვეგეგმა ის სერვისები, რომელიც ორიენტირებულია მათ განვითარებაზე და წარმატებაზე. დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ამ შენობიდან დაიწყება ჩვენი ახალგაზრდების წარმატებული გზა. ჩვენი გუნდი ვაგრძელებთ მუშაობას ახალ პროექტებზე იმისთვის, რომ რუსთავის განვითარება შეუქცევადი იყოს",** – განაცხადა რუსთავის მერმა, **ნინო ლაცაბიძემ.**

ახალგაზრდობის სასახლის შენობასთან ერთად, სრულად განახლებულია მოსწავლე – ახალგაზრდობის ძველი ცენტრის შინაარსობრივი მხარეც. სასახლის ახალი კონცეფცია, ახალგაზრდების ინტერესებზე მორგებული და მულტიდისციპლინურია საგანმანათლებლო ცენტრი, საკლუბო პრინციპით იმუშავებს და რუსთაველი ბავშვებს აქ მენტალური არითმეტიკის, ლეგო – რობოტიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესწავლის და ლაბორატორიული დაკვირვების, ხატწერის, კალიგრაფიის, მხატვრობის, ქორეოგრაფიის და თეატრალური ხელოვნების შესწავლის შესაძლებლობა ექნებათ.

# ვერშემდგარი მოლაპარაკება უკრაინა-რუსეთს შორის და ტრამპის მუქარა პუტინს

**26 აპრილს ვატიკანში პაპ ფრანცისკეს დაკრძალვას უმაღლესი რანგის მსოფლიო ლიდერები დაესწრნენ. ცერემონიალზე, დაკრძალვამდე აშშ-ისა და უკრაინის პრეზიდენტები ერთმანეთს შეხვდნენ.**

ამ დრომდე უცნობია, თუ რაზე ისაუბრეს დონალდ ტრამპმა და ვოლოდიმერ ზელენსკიმ. თუმცა, შეხვედრა ერთი მხრივ დადებითად ფასდება პოლიტიკურ და ანალიტიკურ წრეებში და აღნიშნავენ, რომ კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, რაზეც აქამდე მხარეები ვერ შეჯერდნენ, შესაძლოა, კონსენსუსს მიაღწიონ.

**„ჩვენი ხალხის სიცოცხლის დაცვა. სრული და უპირობო ცეცხლის შეწყვეტა. საიმედო და ხანგრძლივი მშვიდობა, რომელიც თავიდან აგვაცილებს კიდევ ერთი ომის დაწყებას. ძალიან სიმბოლური შეხვედრა, რომელსაც აქვს პოტენციალი, ისტორიული გახდეს, თუ ერთობლივ შედეგებს მივაღწევთ. გმადლობთ, პრეზიდენტო დონალდ ტრამპ",** – დაწერა **ზელენსკიმ.**



ანალიტიკოსი სამხედრო საკითხებში **ამირან სალუქვაძე** ჩვენთან ინტერვიუში ამბობს, რომ ზელენსკისა და ტრამპს კონკრეტული შეთანხმებისთვის რომ მიეღწიათ, ამის შესახებ შესაბამის განცხადებას მათი მხრიდან აუცილებლად მოვისმენდით, თუმცა, მისი შეფასებით, უკრაინის პრეზიდენტის განცხადების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ შეხვედრაზე რაიმე სერიოზული შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული.

**„ტრამპისა და ზელენსკის შეხვედრაზე ცნობილი არაფერია, გარდა იმისა, რომ ზელენსკიმ შეაფასა, როგორც „კარგი შეხვედრა", რაც იმას ნიშნავს, რომ საშუალო ტიპის შეხვედრა იყო. რაიმე სერიოზული გარღვევა რომ ყოფილიყო უკრაინისთვის და ზელენსკის პოზიციებისთვის, ალბათ, უფრო დადებით შეფასებებს გააკეთებდა ზელენსკი და უფრო სიტყვაუხვი იქნებოდა ამ შეხვედრების მიმართ. როდესაც ასეთი მოკლე შეფასებით შემოიფარგლა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ისევ იქ არიან, სადაც მანამდე იყვნენ, შესაძლოა ოდნავ წაიწიეს წინ, კონკრეტულად უკრაინა-ამერიკის მოლაპარაკებში ბევრი საკითხია, – შეიძლება აქ მოინახა გარკვეული შეხების წერტილები და რაიმეზე შეჯერდნენ, თუმცა, არ მგონია, რომ სრულად. რომ ყოფილიყო მეტი წარმატება, ალბათ, ასეთი განცხადებაც გაკეთდებოდა, რომ მათ მონახეს შეხების წერტილები და შეთანხმდნენ პრობლემურ საკითხზე, მაგრამ ასეთი განცხადება არ გაკეთებულა",** – განაცხადა **ამირან სალუქვაძემ.**

ამასთან, უნდა აღინიშნოს, დონალდ ტრამპის განცხადება, რომლის მიხედვითაც, შესაძლოა, რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს არ სურდეს ომის შეჩერება და სხვანაირად უნდა მოექცნენ – აშშ-ს პრეზიდენტი მოსკოვს „საბანკო" და „მეორადი სანქციებით" ემუქრება.

**„უბრალოდ ვცდილობ, ობამასა და ბაიდენის მიერ დატოვებული არეულობა გამოვასწორო. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, პუტინს არ ჰქონდა მიზეზი, რომ ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში სამოქალაქო პირებისთვის, ქალაქებისა და დაბებისთვის რაკეტები ესროლა. ეს მაფიქრებინებს, რომ შესაძლოა მას არ სურს ომის შეჩერება, ის უბრალოდ ცრუ იმედს მაძლევს და სხვანაირად უნდა მოვექცეთ, „საბანკო" თუ „მეორადი სანქციების" მეშვეობით? ძალიან ბევრი ადამიანი იღუპება!!!",** – წერს **ტრამპი.**

ამირან სალუქვაძის თქმით, აშშ-ს პრეზიდენტი გამოირჩევა ურთიერთსაპირისპირო განცხადებებით. რამდენიმე კვირის წინ ის აცხადებდა, რომ პუტინი მზად არის მოლაპარაკებებისთვის, თუმცა დღეს ამბობს, რომ რუსეთის პრეზიდენტს შესაძლოა, არ სურდეს შეთანხმების მიღწევა.

**„რაც შეეხება ტრამპის საჯარო წერილს რუსეთთან დაკავშირებით, მსგავს წერილებს ხშირად ვხვდებით. როდესაც ტრამპი ზელენსკის ხვდება, შეხვედრის შემდეგ დაახლოებით ამ შინაარსის განცხადებები კეთდება. ხანაც, ტრამპი პუტინთან საუბრის შემდეგ, ტრამპს საპირისპირო განცხადებები აქვს, რომ რუსეთის პრეზიდენტი მზად არის მშვიდობისთვის. სხვადასხვა კონტაქტების შემდეგ, ტრამპის ურთიერთსაპირისპირო განცხადებებს ვიღებთ. ახლა ამბობს, პუტინი შესაძლოა მზად არ იყოს მშვიდობისთვის, მანამდე თქვა, რომ პუტინი მზად არის მოლაპარაკებებისთვის. ამ ეტაპზე, რაიმე სერიოზულ ცვლილებებს ვერ ვხედავ, ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობს ტრამპის მიერ ინიცირებული სამშვიდობო პროცესი.**

**მხოლოდ ტრამპმა იცის, სადამდე ეყოფა მას მოთმინება, რომ გააგრძელოს მოლაპარაკება უკრაინასა და რუსეთს შორის. როდესაც ეს ვადა ამოიწურება, არ ვიცით, ასევე რა მოხდება მას შემდეგ, რაც ის გადაწყვეტს, რომ დაასრულა მან სამშვიდობო ინიციატივა, შემდეგ ან დაიბანს ხელს, ან პირიქით, გააძლიერებს უკრაინის დახმარებას",** – აღნიშნა **ამირან სალუქვაძემ.**

**ნიკო ჩოხელი**

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-$306^{16}$ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი" კრედიტორ ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველოს" განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს შპს „ლაზეთი დიდი"-ს საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

**1. უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „ლაზეთი დიდი" (ს/ნ 445706380), მის: ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ, სართული 4, ბინა 403, 52.28 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: 05.32.21.013.01.01.403)

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

**2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** საქართველოს სამოქალაქო კოდექსის $306^{4}$ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უძრავი ნივთის საწყისი ფასი შეადგენს სარეალიზაციო ქონებაზე კრედიტორის მოთხოვნის ოდენობას - 57000 ლარს დამატებული დღგ - 10260 ლარი და სპეციალისტის მომსახურების საფასური 4064 ლარი დღგ-ის ჩათვლით, სულ 71324 ლარს.

**3. აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 29 აპრილი, 14:00 საათი.

**4. აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 14 მაისი, 12:30 საათი.

**5. აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

**5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის N71271HZP107962225;
აუქციონის ნომერი: 71271   ლოტის ნომერი: 1079622

**6. მოვალე:** შპს „ლაზეთი დიდი" (ს/ნ 445706380), მის: ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ;
ახმეთ შახინ ეიუფოღლუ 28925327750, U35822463 /თურქეთი/, მის: ბათუმი, დავით კაკაბაძის ქუჩა N16ბ

**7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი" (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

**8. აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველო".
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის" საბანკო ანგარიშზე (ს/ს „ზირაათ ბანკი საქართველო", ანგარიშის ნომერი GE02ZB0000003608003964). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

**9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP107962225; ლოტის ნომერი: 1079622).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 13 მაისის 18:00 საათამდე.

# პუტინის დროებითი ზავი 9 მაისისთვის



**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ფაშიზმზე გამარჯვების მე-80 წლისთავთან დაკავშირებით უკრაინაში ცეცხლის დროებითი შეწყვეტის შესახებ გამოაცხადა,** – ინფორმაციას კრემლი ავრცელებს.

**პუტინის გადაწყვეტილებით, ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი 8 მაისს 00:00 საათზე ამოქმედდება და 11 მაისის 00:00 საათამდე გაგრძელდება. ამ პერიოდში ყველანაირი სამხედრო მოქმედება შეჩერებული იქნება. როგორც ინფორმაციაშია აღნიშნული, რუსეთი იმედოვნებს, რომ უკრაინული მხარე დათანხმდება ამ გადაწყვეტილებას.**

**„უკრაინული მხარის მიერ ზავის დარღვევის შემთხვევაში რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები ადეკვატურ და ეფექტურ პასუხს გასცემენ",** – აღნიშნულია განცხადებაში.

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA
www.sakpatenti.org.ge

# გეოგრაფიული აღნიშვნა

## რაჭული ლორი

**სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აქვეყნებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო მიერ საქპატენტში წარმოდგენილი განაცხადის მასალებს.**

**თუ განაცხადის მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ამ მასალებთან დაკავშირებით საქპატენტში არ შემოვა დამატებითი ინფორმაცია, გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შესახებ ცნობები შეტანილი იქნება ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სახელმწიფო რეესტრში და გამოქვეყნდება საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში.**

**თუ განაცხადის მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ამ მასალებთან დაკავშირებით საქპატენტში შემოვა დამატებითი ინფორმაცია, ის შესასწავლად გადაეგზავნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.**

**განაცხადის** N3540/7
**განაცხადის შეტანის თარიღი:** 27/11/2023
**გეოგრაფიული აღნიშვნა:** „რაჭული ლორი“
**საქონლის დასახელება, რომლისთვისაც მოითხოვება გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია** – ლორი
**განმცხადებლის სახელი და მისამართი:**
საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტრო
მარშალ გელოვანის გამზ. N6, 0159,
თბილისი, საქართველო

**1. პროდუქტის დასახელება**
რაჭული ლორი.

**2. პროდუქტის დახასიათება**
რაჭული ლორი წარმოადგენს ენდემური ჯიშის ან ადგილობრივი[1], ტყეში ნაკვები (ნასუქი) ღორის ხორცისგან, ტრადიციული მეთოდით დამზადებულ დამარილებულ, შებოლილ, მშრალ პროდუქტს, რომელსაც ცალი მხრიდან აკრავს კანი. მის ორგანოლეპტიკური მახასიათებლებს განსაზღვრავს წარმოების ადგილის რელიეფის მორფოლოგიური, მორფომეტრული და კლიმატური თავისებურებები. რაჭულ ლორს აქვს ერთგვაროვანი შეფერილობა, ხასიათდება მკვრივი კონსისტენციით, შეიძლება იყოს მაგარი ან საშუალო სიმაგრისაც, რაც დამოკიდებულია კუნთოვანი მასის სიდიდეზე და გამოშრობაზე. შესაძლებელია მსხვილი კუნთოვანი მასის შუა ნაწილი შედარებით ნაკლებად მაგარი იყოს. აქვს კვამლის დამახასიათებელი სუნი და არომატი, პიკანტური გემო, მეწამული-მუქი წითელი ფერის კუნთოვანი ქსოვილი, ფერის ცვალებადობას განაპირობებს შებოლვისას გამოყენებული ხე-მცენარეების სახეობები, ზომიერად მარილიანი, სუფრის მარილის შემცველობა ყოველ 100 გ პროდუქტში 10 გ-ის ფარგლებში მერყეობს. მარილის ეს რაოდენობა ხელს უწყობს არამარტო სპეციფიკური გემოს ჩამოყალიბებას, არამედ გაუწყლოების პროცესის დაჩქარებასაც. რაჭული ლორისთვის დამახასიათებელია თეთრი, ან მოვარდისფრო და სასიამოვნო მკვეთრი გემოს ცხიმი, რომლის ჩანართები ლოკალიზებულია ძირითადად ხორცისა და კანის ფენას შორის. თუმცა, ცხიმი გვხვდება ხორცის ფენებშიც. თვალსაჩინო უნდა იყოს ცხიმისა და კუნთოვანი მასის ფენები. გადანაჭერი მშრალია და ხელის დაჭერისას არ გამოყოფს სისველეს. შეხებისას ტექსტურა ბოჭკოვანია.

**3. წარმოების არეალი**
რაჭული ლორის წარმოების არეალია რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარის ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტები.




**ნახ. 1. რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი**

**4. წარმოებაში გამოყენებული ნედლეული**
რაჭული ლორი მზადდება ახალდაკლული, ენდემური ჯიშის ან ადგილობრივი, ტყეში ნაკვები(ნასუქი) ღორის დაკვლის შედეგად მიღებული ახალი, გაუყინავი ნახევარი ტანხორციდან ე.წ. „ფელიკიდან“. ივნისიდან ნოემბრის ჩათვლით პერიოდში, სულ მცირე 90 დღე, ღორები უნდა იკვებებოდნენ ტყეში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სახელმწიფოს მიერ იზღუდება ღორების ტყეში გაშვება. ღორის კვება პრემიქსებით და კონცენტრატებით დაუშვებელია. რაჭა ტყიანი მთის ფერდობებით არის გარშემორტყმული, ადგილობრივი, ტყეში ნაკვები ღორის შენახვა და გამოზრდა რაჭული ლორის დამზადებისთვის დიდი ხნის ტრადიციაა.

ენდემური ჯიშის ან ადგილობრივი, ტყეში ნაკვები (ნასუქი) ღორი ხასიათდება საცხოვრებელ პირობებთან ადაპტაციისა და რთულ პირობებში რეპროდუქციის უნარით, გამოირჩევა გამძლეობით და შეუძლია კარგად აითვისოს ბუნებრივი საკვებ-სავარგულები, რასაც სხვა ცხოველები ვერ იყენებენ. ტყეში ღორები იკვებებიან ტყის ნაყოფით: მუხა, წიფელი, წაბლი, კაკალი, მაჟალო, ზღმარტლი, შინდი, მაყვალი, კუნელი, კოწახური და სხვა ნაყოფის მომცემი მცენარეები. ძირითადად, ენდემური ჯიშის ან ადგილობრივი, ტყეში ნაკვები(ნასუქი) ღორის წონა 80-120 კგ-ს შეადგენს. ახასიათებს ხშირი შებუსვა, ფერად შავი, ყავისფერი, მოწითალო ან ნაცრისფერია, შეიძლება იყოს ლაქებიანი ან ზოლებით, აქვს გრძელი დინგი, შობს 5-8 გოჭს. პროფ. ი. შუბითიძის მიხედვით, „საქართველოში ღორის ადგილობრივი პოპულაციები (კახური, რაჭული, იმერული, მეგრული, აფხაზური, სვანური) ჩამოყალიბებულია გარეული ღორის (კავკასიური ფორმა) უძველეს პერიოდში უშუალო მოშინაურების შედეგად“.

რაჭული ლორის დასამზადებლად „ენდემური ღორი გამოიყენებოდა, რომელიც მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მისი გარეული ფორმებისაგან. მოხერხებული სიდიდის გამო შენახვა და თავშესაფრის მოწყობა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. იგი კარგად ითვისებს როგორც მცენარეულ, ისე ცხოველური წარმოშობის საკვებს, სამზარეულოსა და რძის წარმოების ნარჩენებს. ახასიათებს გასუქების უკეთესი უნარი და ხორცის მეტი გამოსავლიანობა. არის სახორცე მიმართულების“[2].

რაჭული ლორის დასამზადებლად გამოყენებული ღორის ცოცხალი წონა სულ მცირე 35-40 კგ-ს უნდა შეადგენდეს, საუკეთესოა 50-80 კგ.

**მარილი**
დამარილებისათვის გამოიყენება მსხვილი დაფქვის „სუფრის მარილი“, რომელიც წარმოადგენს კრისტალურ პროდუქტს და შედგება ძირითადად ნატრიუმის ქლორიდისაგან (არანაკლებ 97 %). მისი გრანულომეტრიული შედგენილობა 2.5 მმ-დან 4 მმ-მდე მერყეობს – ე.წ. „ხორხოშა“ მარილია. იოდიზებული მარილის შემთხვევაში, უნდა მოხდეს მარილის დეიოდიზაცია, რისთვისაც მარილი, მზის სხივების პირდაპირი ზემოქმედებისათვის, უნდა გაიშალოს თხელ ფენად (არაუმეტეს 1 სმ), რამდენიმე დღის (2-3) განმავლობაში, პერიოდულად უნდა მოხდეს მისი მორევა, ამ მიზნით შესაძლებელია ასევე მარილის წინასწარ გაცხელება მორევით. რაჭული ლორის დასამზადებლად სხვა ინგრედიენტის გამოყენება დაუშვებელია.

**5. წარმოების ეტაპები**
**ეტაპი I – ღორის დაკვლა**
რაჭული ლორის დასამზადებლად ღორი დაკვლა რაჭაში დაშვებულია 15 ოქტომბრიდან 1 მარტამდე პერიოდში. ღორის ცოცხალი წონა უნდა იყოს სულ მცირე 35-40 კგ.

**ეტაპი II – გასუფთავება**
ცოცხალი ცხოველის გაბრუების/დაკვლის და სისხლგართმევის შემდეგ ხდება მისი დამდუღვრა, ჯაგრის გაცლა, გაფხეკა, რისთვისაც ჩააზელენ ხორბლის ქატოს ან სიმინდის ფქვილის ანაცერს და გულდასმით ირეცხება ცხელი წყლით. დამუშავება ხდება გატყავების გარეშე. ამ პროცესის შემდეგ იწყება გამოშიგვნა. პირველ რიგში აჭრიან თავს, ჩამოეჭრება ანალური ხვრელის გარეთა ნაწილი. გამოშიგვნა იწყება მაგიდაზე ან ჩამოკიდებულ მდგომარეობაში, იკვეთება მუცლის ხაზზე, ამოაქვთ საშარდე ბუშტი, ნაწლავები კუჭთან ერთად, შემდეგ ღვიძლი. ფრთხილად აცლიან ნაღვლის ბუშტს. შინაგან ორგანოებს აცლიან ქონს, ხსნიან დიაფრაგმას, იღებენ გულსა და ფილტვებს. ტანხორცის შიდა მხარე სუფთავდება. აღნიშნული პროცედურის შემდეგ ტანხორცი იჭრება ორ თანაბარ ნაწილად, ხერხემლის გასწვრივ, ამ ტანხორცის ნახევარს „ფელიკს“ უწოდებენ. აუცილებელია ხერხემლის ამოღება ძვლის ტვინის დაზიანების გარეშე და ასევე ზედა სამი ნეკნის ამოღება.

**ეტაპი III – „ფელიკის“ დამარილება (დამწნილება)**
დამარილების (დამწნილების) პროცესის შედეგად ხორცი იცლება ზედმეტი სითხისაგან. დამარილება ხდება ახალდაკლული ჯერ კიდევ თბილი ხორცის, ზოგ შემთხვევაში გაციებული ხორციც მარილდება, თუმცა ამ შემთხვევაში გამოიყენება თბილი მარილი. დამარილების მიზნით გადაიხსნება „ფელიკის“ ბეჭისა და ბარკლის ძვლები, ასევე ყველა სახსარი, ხორცი დაისერება, განსაკუთრებით ღრმად უნდა დაისეროს ხორცის სქელი ნაწილი, ისერება ნეკნების გასწვრივაც, ამის შემდეგ ხდება მშრალი წესით დამარილება. მარილი ხელით, მასირებით, გულდასმით შეეზილება ყველგან, განსაკუთრებით ხორცის სქელი ნაწილის დასერილ ადგილებში. დასაშვებია შემთბარი მარილის გამოყენება. 1 კგ ხორცისათვის დაახლოებით 50-80გ მარილი გამოიყენება. დამარილებულ „ფელიკებს“ სიმაღლეზე აწყობენ ერთმანეთზე, ზედაპირით (კანით) ზევით და ტოვებენ მაგიდაზე ხის, ან უჟანგავი ლითონის გობზე დაახლოებით 15 დღის მანძილზე ბუნებრივი ვენტილაციის პირობებში. ამ პერიოდის განმავლობაში ხდება „ფელიკების“ რიგითობის შეცვლა, როტაცია, ზედა „ფელიკი“ მოექცევა ქვემოთ, ამ პროცესს რაჭაში „დამწნილებას“ ეძახიან. ამ მიზნისათვის დასაშვებია დასაწყობად გამოყენებული იქნას ხის (მხოლოდ არა წიწვოვანი მცენარის) ან სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალისგან დამზადებული გობი/ჭურჭელი ან მაგიდა.

**ეტაპი IV – „ფელიკის“ გაშრობა**
გაშრობა ხდება ფიცრულ სათავსოში ხუთი-შვიდი დღის განმავლობაში, რა დროსაც ფელიკებს ჩამოკიდებენ, ზოგ შემთხვევაში, გაშრობის პროცესის დაჩქარების მიზნით იყენებენ შეშის ღუმელს. როდესაც „ფელიკის“ ზედაპირი მარილის „ფიფქით“ დაიფარება, „ფელიკი“ მშრალია და მზადაა შესაბოლად.

**ეტაპი V – შებოლვა**
გაშრობის შემდეგ იწყება „ფელიკის“ შებოლვის პროცესი. ტრადიციულად, შესაბოლი სათავსო ხის ფიცრებისგან, ან ხის და ქვის კომბინაციისაგან დამზადებული შენობაა, რომლის სიმაღლე დაახლოებით 3-4.5 მ-ს შეადგენს. თუმცა თანამედროვე პირობებში დასაშვებია ხესთან კომბინაციაში, ქვის ნაცვლად ბლოკის მასალის გამოყენებაც. შებოლვის ტრადიციული მეთოდის შესანარჩუნებლად შესაბოლი შენობის კონსტრუქციის სულ მცირე 60 %-ს უნდა შეადგენდეს ხის მასალა. შებოლვა მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ღორის ხორცის საგემოვნო თვისებებს, ახანგრძლივებს შენახვის ვადას. ნახევარი ტანხორცი იბოლება სულ მცირე 25 დღე-ღამის განმავლობაში.

სათავსოში ანთებენ შუაგულ ცეცხლს, რისთვისაც იყენებენ რაჭის რეგიონის ფოთლოვან ხე-მცენარეებს წიფელას, რცხილას, წაბლს, თხმელას, ვაშლს, მსხალს, ტყემალს, კომშს (ბია). ამ მიზნისთვის წიწვოვანი მცენარეების გამოყენება არ ხდება. ყველაზე უკეთეს შედეგს იძლევა კურკოვანი მცენარეები რადგანაც ნაკლები სიმხურვალით გამოირჩევა და ხორცს სასიამოვნო, მეწამულ შეფერვას აძლევს. შუა ცეცხლის გარშემო, 1.0-2.5 მ დაშორებით ჩამოკიდებულია „ფელიკები“, რათა სიმხურვალემ ქონის დნობა არ გამოიწვიოს. შეშა ალის გარეშე უნდა იწვოდეს, უნდა გამოყოფდეს ბევრ კვამლს. ხორცი მხოლოდ კვამლით უნდა მუშავდებოდეს. პერიოდულად ხდება „ფელიკების“ მონაცვლეობა, რათა მათი შებოლვა სრულად და ერთგვაროვნად მოხდეს.

ცეცხლს ჭირდება სისტემატური ყურადღება. სიმხურვალე წყლის საშუალებით მცირდება. ზოგჯერ ღამით შებოლვის პროცესი წყდება და დილით ისევ განახლდება. ოჯახურ პირობებში ასეთი წესით შებოლვა 25-45 დღე გრძელდება.

**ეტაპი VI – შენახვა**
შებოლვის პროცესის დასრულების შემდეგ მზა რაჭული ლორი ინახება სიგრილეში. როგორც წესი, ზამთრის პერიოდში მათი შენახვა ხდება სუფთა, მშრალ ადგილას, ხოლო გაზაფხულიდან, როცა ჰაერის ტემპერატურა მატულობს და აღწევს 16°C-ზე მეტს, რაჭული ლორის შენახვა უნდა მოხდეს მაცივარში ან გრილ სათავსოში/ოთახში 5-15°C ტემპერატურის პირობებში.

**6. გეოგრაფიული არეალი და ადამიანური ფაქტორები**
რაჭული ლორის ორგანოლეპტიკურ და საგემოვნო თვისებებს, ასევე წარმოების ტექნოლოგიას განსაზღვრავს გეოგრაფიული არეალი და კლიმატური პირობები, სადაც პროდუქტის წარმოება ტრადიციული მეთოდების გამოყენებით ხდება.

რაჭა საქართველოს მაღალმთიანი რაიონია, მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე რიონისა და მისი შენაკადების ხეობაში. ჩრდილოეთით მას ესაზღვრება კავკასიონის წყალგამყოფი ქედი, ჩრდილო-დასავლეთიდან ქვემო სვანეთისგან გამოყოფს მდინარე ასკისწყალი და თავშავის ქედი, სამხრეთით – განედური მიმართულების მდ. რიონის ხეობა, აღმოსავლეთით შიდა ქართლისგან გამოყოფილია ჯეჯორის ხეობით უღვირის ქედამდე, დასავლეთით – ლეჩხუმი.

ისტორიულ-გეოგრაფიულად რაჭა სამ კუთხედ იყოფოდა: მთის რაჭა, ზემო რაჭა და ქვემო რაჭა. რაჭის ფართობი 2818 კმ$^2$-ია.

რაჭის ტერიტორია უმეტეს ნაწილში ხასიათდება ძლიერ დანაწევრებული რელიეფით. აქ მკვეთრად გამოიყოფა ორი მაღალი ქედი – მთავარი კავკასიონი (სიმაღლე 2829 მ-დან – მამისონის უღელტეხილი) და ლეჩხუმი (მთა ჭანჭახი – 4462 მ-მდე).

რაჭის მთიანი, ძლიერ დანაწევრებული რელიეფი განსაზღვრავს კლიმატის ვერტიკალურ ზონალობას და მიკროკლიმატური პროცესების ფართო გავრცელებას. იგი მოქცეულია დასავლეთ საქართველოს ნოტიო სუბტროპიკულ ზონაში – რელიეფის მორფოლოგიური და მორფომეტრიული თავისებურებები, ზღვის დონიდან საკმაოდ დაშორება განაპირობებს ჰავის თავისებურებებს. აქაური ჰავა გარდამავალია ნოტიო სუბტროპიკულიდან კონტინენტურისაკენ.

გამოიყოფა 5 ზონა:

**1. ზომიერად ტენიანი ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი, თბილი ზაფხულით** – ეს ზონა გავრცელებულია 300-600 მ-დან 1100-1500 მ-მდე;

**2. ტენიანი ცივი ზამთრითა და ხანგრძლივი ზაფხულით** – გავრცელებულია მდ. რიონის ხეობასთან მიმდებარე მთების კალთებზე, დაახლოებით 1800 მ სიმაღლეზე;

**3. ტენიანი ცივი ზამთრით, მოკლე ზაფხულით** – განლაგებულია მეორე ზონის ზემოთ, 2100 მ სიმაღლემდე;

**4. მაღალმთიანი, ტენიანი მუდმივი თოვლითა და მყინვარებით** – გავრცელებულია კავკასიონის ქედზე, 2900-3000 მ სიმაღლის ზემოთ;

**5. ტენიანი, ნამდვილი ზაფხულის გარეშე, ხანგრძლივი და მძლავრი თოვლის საფარით** – ეს ზონა მოიცავს მთავარი კავკასიონისა და ლეჩხუმის ქედების ფერდობებს (>3200 მ).

მზის ნათების ხანგრძლივობა და მზის რადიაციის ინტენსივობას წლის ყველა სეზონში ზომიერი ღრუბლიანობა განაპირობებს.

იხ. 14 გვ.

**1 არაიმპორტირებული, არაინტენსიური ფერმის და არა ბაგური კვების პირობებში გაზრდილი ღორი.**

**2 რაჭა, წარსული, აწმყო და მომავალი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 2012 წ., 238-247.**

ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 11.4°C – 2.4°C-მდე მერყეობს. ცივი თვეა იანვარი (0.2-12°C), ხოლო უთბილესი – აგვისტო (23-28°C), მაღალმთიან ზონაში 19°C. დაბალმთიან ზონაში თოვლი შეიძლება მოვიდეს ნოემბრიდან აპრილამდე, 1000 მ-ზე ზევით – ოქტომბრიდან მაისამდე.

რაჭის ტყის მასივების უმეტესი ნაწილი ფოთლოვანი ტყეებითაა დაფარული, უპირატესად გავრცელებულია ნაყოფისმომცემი ხე-მცენარეები – მუხა, წიფელი, წაბლი. წიფლის ტყეები 1400-1500 მ-მდე ვრცელდებიან, გვხვდება ასევე ცაცხვი, თელა, რცხილა, ნეკერჩხალი, ქვეტყე წარმოდგენილია წყავით, შქერით, თხილით, ბზით.

სწორედ ამიტომ, ბუნებრივ-კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, ღორის შენახვის ტექნოლოგიაც განსხვავებულია. დამახასიათებელია მომთაბარე მეღორეობა. გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი, ისტორიკოსი და კარტოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში რაჭის შესახებ წერდა: „და არიან მთანი მაღალნი და განიერნი, თხემთა უტყეონი და კალთათა ტყიანი, და ზამთარს დიდთოვლიანი, სადაცა ვერ ივლის ცხენი, და ზაფხულის უთოვლო, წყაროიანი, ბალახ-ყვავილოვანი“, „ჰავით არის კეთილმშუენი, ზაფხულის გრილი, ზამთარ თბილი და უქარო, მოსავლიანი, თვინიერ ბრინჯ-ბამბისა ნაყოფიერებს ყოველნი მარცვალნი, ვენახნი, ხილნი, მტილოვანნი ყოველნი. რიონის კერძოდ ამიერ და იმიერ, სრულიად რაჭას ესრეთ ნაყოფიერებს. პირუტყვნი, აქლემს გარდა, ყოველნი და არა მრავლად. ცხოვარი – უდუმო, ღორი – სიცოცხლე მათი“[3].

ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერდა რა რაჭას წერდა: „ხოლო განყოფით დღნორს ზეით წმიდის გიორგისას, მერმე გაჭრილს, ნაქერალას, ველევს, საღორეს, გარჯილას, ნაჯიხურევს, საწალიკეს და კეცებს. დასავლით მზღვრის **საღორის მთიდამ** დღნორამდე რომელნი მთანი აღვსწერეთ, და მთა გუელის თავისა“[4]. „საღორის მთის“ მოხსენიება შემთხვევითი არ უნდა იყოს, რამდენადაც „კალთათა ტყიან“ მთაში ღორის ტყეში გაშვება და ნამატით დაბრუნება რაჭველთა ყოფაში ჩვეულებრივ ამბავს წარმოადგენდა.

ამას ადასტურებს პროფ. ი. შუბითიძეც – „რაჭული ენდემური ღორის შენახვა ძირითადად მიმდინარეობდა ბუნებრივი საკვებსავარგულების გამოყენების ხარჯზე, რის შედეგად პროდუქტიულობაც შესაბამისად ჩამოყალიბდა. რომ არ იყოს ღორის ადგილობრივი პოპულაციები, ფაქტობრივად აუთვისებელი დარჩებოდა ტყის ნაყოფის მომცემი, ფოთლოვანი მასივები, რადგან მთის დამრეც ფერდობებსა და მდინარეთა ხეობებს, სადაც თავს იყრის ჩამოცვენილი რკო, წიფელი, პანტა, ვაშლი, მსხალი და სხვ. მხოლოდ ადგილობრივი ღორი ითვისებს და ხორცის გემრიელ პროდუქტებს იძლევა. ხორცის საგემოვნო თვისებებზე განსაკუთრებით დადებითად მოქმედებს წიფლის ნაყოფი[5].

რაჭის მოსახლეობისათვის ღორი ერთ-ერთ ძირითად სასოფლო-სამეურნეო ცხოველს წარმოადგენდა. ლიტერატურიდან ცნობილია, რომ „ხალხში დღესაც არის შენახული ძველთა-ძველი ჩვეულებანი, რომლებიც ნათელყოფენ, თუ როგორ გულმოდგინედ ცდილობდნენ ქართველები ღორის მომრავლებას. რაჭაში „ბოსლობის“[6] წინა დღით, მზის ჩასვლისას თითოეულ ოჯახში ჭრიან ჯოხს პატარ-პატარა ჭრელ და ლამაზ ნაჭრებად, რომ გოჭებიც ასე ჭრელები და ლამაზები გამოვიდნენო, თითოეულ ღორზე 10-15 ნაჭერს ამზადებდნენ. ამ დროისთვის აცხობდნენ „განატეხსაც“, რომელსაც ღორის ქონზე ამზადებდნენ[7]. აქვე აღნიშნულია „ძველი ჩვეულება უნდა იყოს რაჭაში „გოჭის ხუთშაბათიც“, როცა აზნაურის ქორწილში ხალხი შედიოდა შუა ქეიფში, მოსამსახურეს შემოჰქონდა ე.წ. „მუხლის კვერი“, რომელიც შედგებოდა დიდი პურისაგან, მსუქანი გოჭისაგან, რომლის თავი ყვავილებით იყო მორთული, ხილიდან და ანთებული წმინდა სანთლებისგან, არანაკლებ ექვსისა“, „რაჭაშივე, ქორწილის წინა დღეს, სასიძლოს პატარძლის ოჯახში მიჰქონდა საჩუქრები და „სასიძლო ძღვენი“, რომელშიც მოხარშული ღორი ან გოჭი შედიოდა“[8]. გადმოცემით, ქვემო რაჭაში ბოსლობის წინა დღეს, ე.ი ყველიერის წინა პარასკევს, „ღორების პარასკევს“ – „კაი პარასკევს“ ეძახდნენ. ბოსლობა დღეს კი ბოსელში ჩაჰქონდათ განატეხი, კვერცხი, სანთელი, ღვინო და ღორის მსუქანი ხორცი.

ღორის ხორცის დამარილება რომ რაჭველთა უძველესი ტრადიციაა, ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ძველ დროში „სალორე მარილი“ რაჭველი გლეხისათვის ერთგვარ გადასახადს წარმოადგენდა. დამარილების შემდეგ ხორცი კვამლში გამოჰყავდათ და ზამთრისთვის ინახავდნენ. ამას „ლორი“ ეწოდებოდა.

ისტორიულად რაჭის მოსახლეობის ძირითად ნაწილს გლეხები შეადგენდნენ, რომლებიც კომლებად ცხოვრობდნენ. თითოეული ასეთი კომლი აზნაურთა, თავადების, ეკლესიის ან სამეფო ხელისუფლების საკუთრებას წარმოადგენდა, მათი ვალდებულებები საკმაოდ მძიმე იყო და ყოველგვარი გადასახადიც ამ კომლზე მოდიოდა. 1621 წლით დათარიღებული დავთრის მიხედვით, სოფელ ბარის მოსახლეობიდან „გრძელიძესა ნასყიდასა უნდა გადაეხადა 4 კოდი პური, 1 კოდი ქერი, 4 კასრი ღვინო, 3 ქათამი, 6 კვერცხი, ერბო, ხაჭო და **სალორე მარილი,** ხოლო ნინიასა და გოჩიასა გიორგობიანსა – 3 კოდი წმინდა პური, 1 კოდი ქერი, სამი საკლავი, 6 ქათამი 12 კვერცხი, ხაჭო, ერბო და სალორე მარილი“[9].

სალორე ღორებს საგანგებოდ უვლიდნენ და ასუქებდნენ. ის, რომ „სალორე ღორი“ შესაწირ ცხოველს წარმოადგენდა, მოცემულია „შეწირულობის სიგელში“, ეს უძველესი დოკუმენტია, რომელშიც აღნიშნულია, რომ „სორის მონასტრისათვის – სორის ჯვარცმის ეკლესიისთვის პაატა კალმახელიძეს ყოველწლიურად უნდა შეეწირა ოთხი კოდი პური, ოთხი დორა ღვინო, სალორე გასუქებული ტახი, ერთი მომცრო საკლავი, ერთი ცხვარი და რვა ქათამი, ნიკოლაიშვილს – ხუთი კოდი პური, ქერი და მჭადი, ხუთი დორა ღვინო, სალორე გასუქებული ტახი, ერთი ცხვარი და რვა ქათამი, კაციტაძე გიორგის – ექვსი კასრი ღვინო, სამი კოდი პური, ერთი კოდი ქერი, გასუქებული სალორე ღორი, ერთი ცხვარი, ოთხი ქათამი, ცხრა პური“[10].

ეთნოგრაფ ლევან ფრუიძის გადმოცემით, „ჯიშიან დედა ღორებს დიდი ყურადღებით კვებავდნენ და ნაშენობის უნარის გათვალისწინებით ინარჩუნებდნენ. სასუქად დაკოდილ ტახებს არჩევდნენ, რომლებიც წელგამოვლილი, ზრდასრული უნდა ყოფილიყო. სასუქის დაკვლა გვიან შემოდგომით – ზამთრის პირზე შეიძლებოდა, როცა აცივდებოდა, ხაშარს (თრთვილს) დადებდა. ამით ისაზღვრებოდა სუქების დაწყების დრო. გარდა ამისა, როცა ლორის გამოყვანა ხდება, შობის მარხვა იწყება, რადგან მარხვაში ხორცი არ იჭმება, შესაბამისად დაკლული **ღორის ხორცს ამარილებდნენ** და ბუხრის წინ ჰკიდებდნენ. გვიან შემოდგომით, როცა ღორები ტყის ნობათს აითვისებდნენ, წინასწარ შერჩეულ ტახებს საძოვარზე აღარ უშვებდნენ და ჯერ საჩიხეში, მერე საღორეში ამწყვდევდნენ. სალაფავი საჭმლის ნარჩენებისგან მზადდებოდა. სასუქ ღორს დღეში სამჯერ ძღომაზე კვებავდნენ: დილით და საღამოთი საღორებოთი, შუადღით მარცვლეულით. ასე ნაკვებ ღორს მჭლე და ქონი ცალ-ცალკე კი არ აქვს, არამედ ქსოვილში ფენაფენა, თანაც ასეთი ხორცი უგემრიელესია“.[11]

ქართველი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე ივანე ჯავახიშვილი წერდა: „ქვემო რაჭაში იციან ხორცის დამარილება და ამას დაშაშახვას ეძახიან. დაშაშხულ ხორცს გაახმობენ ცეცხლზე და „გამოჰყავთ შაშხი“. შაშხს კიდევ როლს ეძახიან (უნდა იყოს ლორი), მაგრამ ლორი მხოლოდ ღორის შაშხი შეიძლება იყოს. საშაშხე ღორს განსაკუთრებით ასუქებენ, სუქებას იწყებენ სამი თვით ადრე და თანდათან უმატებენ საჭმლის რაოდენობას სასუქისათვის[12], ისე, რომ უკანასკნელ ორ კვირას გარეთ სულ არ უშვებენ. და, როგორც იტყვიან „საჭმელს თავზე აყრიან“, ასუქებენ უმეტესად „ტახებს“, (მამალ ღორებს). „ნეზვი ღორის“ ლორი, როგორც აქ უთქვამთ, მდარეა, მოხარშვის დროს იკუტება, პატარავდება.[13]

აქვე აღწერს ღორის დაკვლის და დამარილების პროცესს – „გასუქებულ ღორს გრძელი დანით კლავენ. დანას კისერში ჩაუყრიან ისე, როგორც აქ უთქვამთ, გულზე უნდა მოხვდეს მახვილი და ამ დროს კვდება ღორი. კისერს არ აჭრიან. ერთი კაცი დანას უყრის, მეორეს ფეხები აქვს გაკავებული. ამ დროს უკვე დიდი ქვაბით ადუღებული წყალი აქვთ მომზადებული. ღორს ჩელტზე დებენ, ხრიკით ასხამენ წყალს და თან ხის ჯოხს „უხახუნებენ“ ჯაგარზე. როცა შეატყობენ ბალნის დაცვენას, ხელით დაუწყებენ გაცლას. ბალნისაგან როცა გალოპავენ, დანით გადაფხეკენ კანს. გრძელ სუფრაზე დებენ, გამოშიგნავენ და შემდეგ პირქვე დაამხობენ, კუდიდან აჭრიან და აიღებენ ხერხემალს, თან ცალკეულად მარცხენა და მარჯვენა მხარეს ყბიანად გაჭრიან და მთლიანად, ასო-ასო დაუჭრელად გადმოდებენ ორ ფელიკს ხონჩაზე. თითოეულად ამ ფელიკს დაშაშრავენ (სახსრებში ნახევრად ჩაჭრიან) და მარილს დააყრიან. ერთიმეორეზე დააწყობენ ფელიკებს და ტომარას დააფარებენ. სამ დღეში, როგორც აქ იტყვიან, მარილს შეირგებს ფელიკი (მარილი გაუჯდება ხორცს) თან შეწდება (სისველეს მოიკლებს). შემდეგ ფელიკებს ცალკეულად ღვლეჭს გაუყრიან ბარკლის ბოლოზე და ჩამოკიდებენ კაჩაზე. ორი კვირის შემდეგ კაჩიდან ჩამოიღებენ და მაღლა ლოფინზე ჩამოკიდებენ ცეცხლიდან სიშორისათვის, კვამლი სწვდება და კვამლში შავად გამოდის ეს შაშხი ანუ ლორი. ბურვაკების დაშაშხვაც იციან, მისი ლორი გემრიელია, მაგრამ ზაფხულში შესანახად არ ვარგა[14].

აქვეა მოცემული 1935 წელს, ეთნოგრაფ ნიკოლოზ რეხვიაშილის მიერ, სოფ. ხიდაშის-საკაოს მკვიდრის, 70 წლის ილიკო ხიდაშელის მონათხრობი ლორის შესახებ – „ჭიროლ-გობსში დავკლამდით ღორს, იმაში დუღრით გავფუფქავთ, ჯერ ზურგი ჯავას ავაცლით (ჯავა-ჯაგარი) და ისევ გავფუფქავთ, დანებით გავწმენდამთ, გამოვწელამთ, მერე გავშიგნით, ამოვიღებთ შიგნეულობას. მერე დავამხობთ თავდაღნა, დავადებთ ზურგზე ხართავისაბელ[15] და იმი მიყოლებით გავსერანთ იქით-აქეთ. მერე გავიტანთ მთლად და ამოვიღებთ ზურგი ძვალ. დარჩება ნახევარი აქეთ და ნახევარი იქით – ღორი ნაჭერი. თითოს ფელიკი ქვია. ერთ ღორის ორი ფელიკი აუა, ზურგი ძვალი, შიგანი და თავ-ფეხი, მეტი იმას არა აკლია რა. ფელიკებ ავაცლით, ჭაჭათან შიგნი ქონს რცმელა[16] ქვია. კეცებ შუა დანაყილ მარილ ამყოლ გავათბობთ და მოცხე მარილით ფელიკი დასერილებში ჩავყრით, ვამარილებთ გობში, დავთბუნავთ (მაშინ სიცივეა). ხუთი დღე ასევ დავტოვებთ, მასუკან ამოვიღებთ და გავკიდებთ კვამლიან სახლში და იქ გამოვა როგორც ბროლი. ესაა ლორი“[17].

რაჭული ლორი მოსახლეობის „წლის სარჩოს“ წარმოადგენდა და სამუშაოდ წასული რაჭველის შეუცვლელი საგზალი იყო. ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში აღნიშნულია, რომ „რაჭველთა ყოფაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ღორის მოვლა-მოშენებას. განსაკუთრებით უვლიდნენ სალორე ღორებს. დამარილებული ღორის ხორცი კვამლში გამოჰყავდათ და იღებდნენ რაჭული ლორს, რომელიც მთელ საქართველოშია ცნობილი“.[18]

ეს მასალები ეჭვგარეშე ადასტურებს იმ ფაქტს, რომ „ღორის გასუქება, ხორცის დამარილება და შებოლვა, მაცივრის გარეშე ხანგრძლივი შენახვა რაჭველებისათვის უძველეს ტრადიციას წარმოადგენს“[19].

### 7. შეფუთვა და ნიშანდება

„რაჭული ლორი“ მომხმარებელს შეიძლება მიეწოდოს შეფუთული ან შეფუთვის გარეშე. ეტიკეტზე პროდუქტის დასახელების აღნიშვნისას გამოიყენება:

ქართული დამწერლობით – **„რაჭული ლორი“**

ლათინური დამწერლობით – **„Rachuli lori“.**

რაჭულ ლორს, რომელიც დამზადებულია ტრადიციული მეთოდით ენდემური ჯიშის ღორის ხორცისგან წინამდებარე სპეციფიკაციების შესაბამისად, ეტიკეტზე, უშუალოდ სურსათის დასახელებასთან ახლოს მითითებული უნდა ჰქონდეს ინფორმაცია – **„დამზადებულია ენდემური ჯიშის ღორის ხორცისგან“**.

ეტიკეტზე აღნიშნული უნდა იქნეს „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად განსაზღვრული მიკვლევადობის ნიშანი.

ეტიკეტზე აღნიშნული უნდა იქნეს „რაჭული ლორის“ ლოგო.




ბაზარზე განთავსებული და რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნით ნიშანდებული რაჭული ლორის ეტიკეტის წინა მხარეს უნდა განთავსდეს შესაბამისი ოფიციალური სიმბოლო. ხედვის იმავე არეალში უნდა განთავსდეს საქონლის რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნა. ეტიკეტზე შეიძლება განთავსდეს აგრეთვე წარწერა „რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნა“.

დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა – რაჭული ლორის, როგორც სურსათის შესახებ ინფორმაცია მომხმარებელს უნდა მიეწოდოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების შესახებ“ და „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

### 8. კონტროლის ორგანოები

რაჭული ლორი დამზადებული ტრადიციული მეთოდით და წინამდებარე სპეციფიკაციების მიხედვით, წარმოადგენს ტრადიციულ, არტიზანულ, გეოგრაფიული აღნიშვნით დაცულ პროდუქტს. შესაბამისად, მასზე ვრცელდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით N173 – ტექნიკური რეგლამენტის „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებული წესით“ დადგენილი მოთხოვნები.

რაჭული ლორის სახელმწიფო კონტროლს, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენტური ორგანო – სურსათის ეროვნული სააგენტო ან მაკონტროლებელი ორგანო – იურიდიული პირი, რომელსაც სამინისტროს მიერ დელეგირებული აქვს სახელმწიფო კონტროლთან დაკავშირებული კონკრეტული ამოცანის შესრულება და რომელიც აკრედიტებულია საქართველოს ან ევროკავშირის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი ქვეყნების შესაბამისი ორგანოს მიერ.

რაჭული ლორის მწარმოებლების გაერთიანება, „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, რაჭული ლორის ხარისხის, რეპუტაციისა და ავთენტურობის უზრუნველყოფის მიზნით, უფლებამოსილების ფარგლებში, განახორციელებს ბაზარზე განთავსებული საქონლის სახელის გამოყენების მონიტორინგს და ამ კანონით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ქმედებებს.

---

**3 ქართლის ცხოვრება, ტომი IV, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1973, 770.**

**4 ქართლის ცხოვრება, ტომი IV, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1973, 770.**

**5 რაჭა, წარსული, აწმყო და მომავალი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მთიანეთის პრობლემათა კომპლექსური შესწავლის კომისია, თბილისი, 2012 წ., 238-247.**

**6 ბოსლობა (სვან. ბოსლოშ, ბემღუ, ლიღმესარი) – ნაყოფიერების და გამრავლების ღვთება ბოსელის კულტთან დაკავშირებული მოძრავი ხალხური დღეობა (იხდიდნენ იანვარსა ან თებერვალში) დასავლეთ საქართველოში. ძველად საქართველოს ყველა კუთხეში უნდა ყოფილიყო გავრცელებული. საბოსლო წეს-ჩვეულებათა შესრულების მიზანი იყო საქონლის და შინაური ფრინველის გამრავლება-სისაღე, მარცვლეულისა და ღვინის მოსავლის გადიდება, ყანა-ვენახების დაცვა უამინდობისა და სოფლის მეურნეობის მავნებელთაგან. ბოსლობის მთავარი აქტი სრულდებოდა ბოსელში.**

**7 რ. მიტიჩაშვილი, შ. ფოცხვერია, გ. ბოჭორიშვილი, ლ. უჭმაჯურიძე, „კახური ღორი“, თბილისი, 2020, 26.**

**8 რ. მიტიჩაშვილი, შ. ფოცხვერია, გ. ბოჭორიშვილი, ლ. უჭმაჯურიძე, „კახური ღორი“, თბილისი, 2020, 21.**

**9 თამაზ ბერაძე, „რაჭა“ 1983, 139.**

**10 თამაზ ბერაძე, „რაჭა“ 1983, 114.**

**11 ლევან ფრუიძე, რაჭა ეთნოგრაფის თვალით, 1986.**

**12 გასასუქებლად.**

**13 მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. აკად. ივ. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით 5 ტომად, თბილისი, 1986. ტომი III, ნაწილი II, „სასმელ-საჭმელი“, 185.**

**14 მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. აკად. ივ. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით 5 ტომად, თბილისი, 1986. ტომი III, ნაწილი II, „სასმელ-საჭმელი“, 186.**

**15 ხართავისაბელი – უღელი ხარის რქებში მოსაბმელი ბაწარი (ღვედი).**

**16 რცმელა – ქონის სქელი ფენა, მუცლის ღრუდა. რცმელა მხოლოდ ღორს აერთმევა.**

**17 მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. აკად. ივ. ჯავახიშვილის საერთო რედაქციით 5 ტომად, თბილისი, 1986. ტომი III, ნაწილი II, „სასმელ-საჭმელი“, 187.**

**18 ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 8, 312.**

**19 ი. შუბითიძე – მეღორეობა და ღორის ხორცის წარმოების ტექნოლოგია, 2009.**




## ამერიკაში ქართველის მკვლელობისთვის ქართველები დააკავეს

**ლოს-ანჯელესის პოლიციის დეპარტამენტის განცხადებით, 47 წლის ალექსანდრე მოდებაძის მკვლელობაში ბრალდებული 3 ქართველი დააკავეს.**

ადგილობრივი პოლიციის ინფორმაციით, მოდებაძის სახლში გამოძახებაზე შაბათს მივიდა პოლიცია, რომელსაც მამაკაცი თავის არეში მიღებული ტრავმით გარდაცვლილი ნახეს.

ლოს-ანჯელესის პოლიციის დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული განცხადების მიხედვით, მკვლელობაში ეჭვმიტანილები არიან 38 წლის პაატა კოჩიაშვილი, 46 წლის ზაზა ოთარაშვილი და 52 წლის ბესიკი ხუციშვილი. ისინი შაბათს, გვიან ღამით დააკავეს. ისინი მკვლელობის ბრალდებით დააკავეს და 2 მილიონი დოლარის გირაო შეუფარდეს.

## გორში მკვლელობისა და დაჭრის ფაქტზე პოლიციამ ერთი პირი დააკავა

**შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ორი ან ორზე მეტი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით 1975 წელს დაბადებული ს.ა. ცხელ კვალზე დააკავეს,** – ინფორმაციას ამის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა გორში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ორ პირს, მამაშვილს რამდენიმე ჭრილობა მიაყენა. მიყენებული დაზიანებების შედეგად 1993 წელს დაბადებული გ.ც. ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო 1970 წელს დაბადებული დ.ც. სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანის შემდეგ გარდაიცვალა.**



**ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე, შემთხვევის ადგილზე დააკავეს. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს“.**

## ისევ ნარკოტიკების გამავრცელებლები

**შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის, გლდანი-ნაძალადევისა და ძველი თბილისის მთავარი სამმართველოების თანამშრომლებმა სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ნარკოდანაშაულის ბრალდებით ოთხი პირი დააკავეს.**

უწყების ცნობით, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის, გასაღების, გასაღების მომზადებისა და მცდელობის ბრალდებით დაკავებულები არიან: 1989 წელს დაბადებული გ.ს., 2002 წელს დაბადებული გ.ს., 1999 წელს დაბადებული ნ.კ. და წარსულში ნასამართლევი, ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი, 1963 წელს დაბადებული რ.გ.

დანაშაული 20-წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პოლიციამ, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელა ნარკოტიკების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა. სამართალდამცველებმა ბრალდებულების პირადი და საცხოვრებელი ბინების ჩხრეკის შედეგად და ჩატარებული საგამოძიებო ექსპერიმენტის დროს მათ მიერ მითითებული ლოკაციებიდან ნივთმტკიცებად ამოიღეს სარეალიზაციოდ განთავსებული ნარკოტიკული საშუალებები „ალფა-პვპ“, „ბუპრენორფინი“, „კლეფედრონი“, „მეტადონი“, „ამფეტამინი“, „მეტამფეტამინი“ და „მდმა“. ასევე, ამოღებულია ელექტროსასწორი, წებოვანი ლენტები და პოლიეთილენის პაკეტები.

## „მთავარი არხი“ მაუწყებლობას წყვეტს

**1 მაისიდან „მთავარი არხის“ ტელემაუწყებლობა ოფიციალურად შეწყდება. არხის თანამშრომლებმა დღეს, 28 აპრილს, გენერალური დირექტორის, გიორგი გაბუნიასგან მიიღეს შეტყობინება, რომლის მიხედვითაც, ტელეკომპანია საქმიანობას სრულად აჩერებს.**

ინფორმაციას არხის ჟურნალისტები და თანამშრომლები სოციალური ქსელებითაც ადასტურებენ. შეგახსენებთ, „მთავარი არხი“ 2019 წლის სექტემბერში დაარსდა ნიკა გვარამიას ინიციატივით, ხოლო მოგვიანებით წილების ნაწილი ზაზა ოქუაშვილის კომპანიებზე გადავიდა. 2025 წლის თებერვლიდან მაუწყებლობა მხოლოდ სერიალებით განახლდა, პირდაპირი ეთერის გადაცემები კი შეჩერდა.

## გაბრაზებული მაღაროელები ფიზიკურ ანგარიშსწორებაზე გადავიდნენ!!!



**მაღაროელთა ე.წ. საინიციატივო ჯგუფის წევრები წინ გადაუდგნენ შუქრუთის მაღაროს დირექტორის თენგო კობერიძის ავტომობილს, რომელიც მანქანიდან გადმოიყვანეს და ფიზიკურად გაუსწორდნენ. კობერიძეს სახის ძვლის მოტეხილობა და სისხლჩაქცევები აღენიშნება.**

არსებული ინფორმაციით, თენგო კობერიძის ცემაში მონაწილე პირები არიან: **მერაბ სარალიძე, გიორგი ნეფარიძე (ბეხვა), არჩილ ჭუმბურიძე** და **თენგო გველესიანი.**

„ჭიათურა მენეჯმენტ კომპანის“ განცხადებით, მოსახლეობის, დასაქმებულების, პროფესიული კავშირების და სახელმწიფოს ჩართულობით, შეთანხმება მიღწეულია, თუმცა, არსებობს რამდენიმეკაციანი ჯგუფი, რომელშიც შედიან საინიციატივო ჯგუფის წევრები, შუქრუთისა და კოროხნალის მაღაროების პიკეტირების მონაწილეები, რომლებიც ცდილობენ, პროცესი ჩაშალონ.

არსებული ინფორმაციით, მიღწეული შეთანხმების ჩასაშლელად, დაახლოებით 10-კაციანი რადიკალურად განწყობილი მაღაროელთა ჯგუფი ადგილობრივების დაშინებითა და აგრესიული ქცევით გამოირჩევა. ცნობილია ისიც, რომ ამ ჯგუფის წევრებს ფულადი კომპენსაციებიც აღებული აქვთ.

## გერმანიაში ცნობილი მწერალი მოკლეს



**გერმანიაში ცნობილი მწერალი ქალი, 58 წლის ალექსანდრა ფრიოლიხი მოკლეს. ის ცნობილი იყო ბესტსელერებით რუსების შესახებ.**

პოლიციის ინფორმაციით, მწერალი ბლაგვი საგნით მოკლეს. სამართალდამცველების ეჭვის ქვეშ მწერლის ახლო ნათესავი აღმოჩნდა.

ალექსანდრა ფრიოლიხი ცნობილი გახდა რომანით „ჩემი რუსი დედამთილი და სხვა კატასტროფები“. რომანი 2012 წელს გამოქვეყნდა და ის ფრიოლიხის და მისი რუსი ქმრის ისტორიაზე გვიამბობს. ამის შემდეგ ალექსანდრა ფრიოლიხმა დაწერა წიგნები „მოგზაურობა რუსებთან ერთად“, „სიკვდილი გარდაუვალია“ და „ჩონჩხები კარადაში“. ალექსანდრა ფრიოლიხი ასევე რამდენიმე გერმანულ მედია საშუალებასთანაც თანამშრომლობდა.

### სანთელი

**საქართველოს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირი მწუხარებას გამოთქვამს კავშირის წევრის – გამოჩენილი ენერგეტიკოსის**



**ნიკოლოზ ბლეტკინის**

**გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.**

## მელიას 50 ათასი ლარის გირაო შეეფარდა



**„კოალიცია ცვლილებისთვის“ ერთ-ერთ ლიდერს, ნიკა მელიას თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, ლელა მარიდაშვილმა აღკვეთის ღონისძიებად 50 000 ლარის ოდენობით გირაო შეუფარდა. მოსამართლემ სრულად დააკმაყოფილა პროკურორ ნათია თათიაშვილის მოთხოვნა.**

პროკურორი მელიას მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის და მიმალვის საფრთხეზე საუბრობდა. არგუმენტად უთითებდა მელიას წინა სისხლის სამართლის საქმეს და გირაოს, რომლის პირობაც, პროკურორის აზრით, პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომაზე გამოუცხადებლობით დაირღვა. მიმალვის საფრთხეზე საუბრისას კი პროკურორი განმარტავდა, რომ მიმალვა მხოლოდ ქვეყნის დატოვებას არ ნიშნავდა, მისი თქმით, უჭირდათ მელიასთან დაკავშირება საქართველოშიც.

ნიკა მელიას პოზიციით, მას დანაშაული არ ჩაუდენია. მისი თქმით, პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისია ანტიკონსტიტუციურია, რადგან კომისიაში ოპოზიციონერი დეპუტატები არ არიან, რაც კანონით სავალდებულოა. შესაბამისად, მელია მიიჩნევს, რომ ანტიკონსტიტუციურ კომისიაში არმისვლით კანონი არ დაურღვევია. წინასასამართლო სხდომა 29 მაისს ჩაინიშნა.

## უღმერთო ნაძირალამ კახეთში 16 ეკლესია გაძარცვა!



ნაძირალა მძარცველი გორში მცხოვრები კობა კობერიძეა, რომელიც უკვე დაკავებულია. პოლიციას აქვს ბრალდებულის ჩვენებაც, სადაც ის დანაშაულის ყველა ეპიზოდს აღიარებს.

**უჯარმაში, ავალიშვილების საყდრის სახელით ცნობილი ტაძარი ახლა წმინდა ნიკოლოზის სახელობისაა. 1755 წელს აგებული სალოცავი სერიული მძარცველის პირველი სამიზნე გახდა. ახალგაზრდა მამაკაცმა, წინასააღდგომო დღეებში, ჯერ ტაძრის კარი, შემდეგ კი შესაწირი ყუთი გატეხა და მორწმუნეების მიერ გაღებული თანხა მთლიანად გაიტაცა.**

სოფელი უჯარმა დანაშაულის ერთადერთი ადგილი არ ყოფილა. გაირკვა, რომ კახეთის ოთხ მუნიციპალიტეტში 34 წლის მამაკაცმა, ერთდროულად, 16 ტაძარი გაქურდა. არა იპარო! – ეს ერთ-ერთია ათი მცნებიდან, რომელიც თითქმის ყველა ტაძარშია გამოკრული, თუმცა, როგორც ჩანს, სერიული მძარცველი დანაშაულის დროს ვერც ამ შეგონებამ დააბრკოლა.

**გომბორი, ახაშენი, მუკუზანი, ძირკოკი, კარდენახი, ანაგა, ვაქირი – ეს იმ სოფლების არასრული ჩამონათვალია, სადაც მძარცველმა სალოცავებში განთავსებული შესაწირი ყუთები დააცარიელა. წაღებულია ფული, ჯვრები, სხვადასხვა საეკლესიო ნივთი და ბიბლია.**

ბრალდებულის ადვოკატმა საქმეზე საუბარი არ ისურვა, პროკურორი კი ადასტურებს, რომ კობა კობერიძე, ტაძრების გაქურდვის მიზნით, კახეთში წინასწარი განზრახვით ჩავიდა და ოთხ მუნიციპალიტეტში არაერთი სალოცავი გაქურდა. ჩხრეკისას ამოღებულია როგორც თანხა, ისე საეკლესიო ნივთები. ბრალდებულის ოჯახი გამოძიების ვერსიას ეჭვქვეშ აყენებს, თუმცაღა, კობა კობერიძის დედა ადასტურებს, რომ მისი შვილი, ქურდობის ბრალდებით, წარსულშიც ორჯერ იყო გასამართლებული.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაქირში მდებარე იოანე ნათლისმცემლის ტაძარი სერიული მძარცველის ბოლო გაჩერებაა. აქ ეკლესიის ქურდობა კობა კობერიძისთვის წარუმატებლად დასრულდა – პოლიციამ მას დანაშაულის ადგილზე მიასწრო და ხელბორკილები პირდაპირ ტაძრის ტერიტორიაზე დაადო. ეკლესიების ქურდობის 16 ეპიზოდში მხილებული კობა კობერიძე უკვე პენიტენციურ დაწესებულებაშია. მას 7 წლამდე პატიმრობა ემუქრება, გამოძიება კი ტაძრებისთვის მიყენებულ ზარალს ითვლის.

# თბილისი ევროპის ყველაზე ლამაზი დედაქალაქების სიაში მოხვდა

**გერმანული სამოგზაურო გამოცემის, Travelbook-ის გამოკითხვაში თბილისი ევროპის 14 ულამაზეს დედაქალაქს შორის მოხვდა. ინფორმაციას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს.**

Travelbook-მა სოციალურ ქსელებში – Facebook-სა და Instagram-ში 200 ათასზე მეტ გამომწერს შეკითხვით მიმართა, ევროპის 47 დედაქალაქიდან სად ისურვებდა მოგზაურობას და რომელია ევროპის ყველაზე ლამაზი დედაქალაქი.

**Travelbook-ის გამოკითხვის მონაწილეებმა შემდეგი დედაქალაქები აირჩიეს: თბილისი, რომი, ვენა, ლისაბონი, პარიზი, პრაღა, სტოკჰოლმი, კოპენჰაგენი, ლონდონი, ამსტერდამი, ტალინი, ვალეტა, მადრიდი და ათენი.**







# 1 და 3 მაისს დაუვიწყარი კონცერტები გაიმართება!

**1 მაისს, 20 საათზე, ეროვნული სიმფონიური ორკესტრის აუდიტორიაში, გია ყანჩელის 90 წლისთავთან დაკავშირებით, კამერული მუსიკის კონცერტი გაიმართება.**

**გია ყანჩელის კამერულ მუსიკას შეასრულებენ: მეცო-სოპრანო ნატალია ქუთათელაძე, გიორგი ცაგარელი (ვიოლა), ნიკოლოზ რაჭველი (ფორტეპიანო).**

3 მაისს ეროვნული სიმფონიური ორკესტრის აუდიტორიაში, გაიმართება ევგენი მიქელაძის სახელობის საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრისა და ეროვნული სასახლის გია ყანჩელის სახელობის თბილისის ახალგაზრდული ორკესტრის ერთობლივი კონცერტი – არიელ ცუკერმანის დირიჟორობით.

**ეროვნული სიმფონიური ორკესტრის ინფორმაციით, შესრულდება: ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის – საფორტეპიანო კონცერტი N9, მი ბემოლ მაჟორი, K271; გუსტავ მალერის სიმფონია N1, „ტიტანი“.**

პირველ განყოფილებაში მსმენელის წინაშე წარდგება ახალგაზრდა შემსრულებელი, კომპოზიტორი და პიანისტი – **ცოტნე ზედგინიძე,** რომელიც მოცარტის მეცხრე საფორტეპიანო კონცერტს შეასრულებს.

# ჩაიკოვსკის ბალეტი პარიზის ოპერაში

**მსახიობი რეიფ ფაინზი, რომელსაც ბალეტისადმი ღრმა ინტერესი თეთრი ყვავის გადაღებისას გაუჩნდა, ჩაიკოვსკის ნამუშევრის, ევგენი ონეგინის ახალი დადგმის რეჟისურაზე მუშაობს.**

ფაინზს დირიჟორის პოდიუმზე არ ვიხილავთ — წარმოდგენების დირიჟორი სემიონ ბიჩკოვი იქნება.

ოპერის შინაარსის შეჯამებისას ფაინსმა აღნიშნა, რომ „ევგენი ონეგინი შეუმდგარი სიყვარულის ისტორიას გვიყვება.“ ოპერა, რომელიც ალექსანდრე პუშკინის ორიგინალურ რომანზეა დაფუძნებული, ახალგაზრდა კაცის, ონეგინის,ისტორიას გვიყვება. ონეგინი მკაცრად უარყოფს მორცხვი ტატიანას გრძნობებს მას შემდეგ, რაც ქალი მას ვნებიანი სიყვარულის წერილს სწერს, და მორალის გაკვეთილს უკითხავს: ონეგინი აღიარებს, რომ წერილი გულზე შეეხო, თუმცა ქალს ეუბნება, რომ ქორწინება მალე მობეზრდება და მისთვის მხოლოდ მეგობრობის შეთავაზება შეუძლია. მონოლოგის დროს ონეგინი ტატიანას ურჩევს, რომ მომავალში ემოციური კონტროლი ისწავლოს, თორემ სხვა კაცი მისი გამოუცდელობით ისარგებლებს.

დრამატული მოვლენების განვითარებისა და წლების შემდეგ, ონეგინი სანკტ-პეტერბურგში გამართულ მეჯლისზე ულამაზეს ქალს ხვდება და ის მაშინვე უყვარდება, თუმცა შემდეგ ხვდება, რომ ეს სწორედ ის ტატიანაა, რომლის გულწრფელი სიყვარულიც თავად უარყო. თუმცა, მშვენიერი ტატიანა უკვე პრინცი გრემინის ცოლია და ონეგინის გრძნობებს ახლა უკვე თვითონ უარყოფს.

რეიფ ფაინზს ამ ისტორიასთან კავშირი უკვე აქვს – მან 1999 წელს გადაღებულ ფილმში ონეგინის მთავარი როლი შეასრულა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ფილმის რეჟისორი მისი და, მართლა ფაინზი იყო.

**„რუსულ ლიტერატურაში ხშირად გვხვდება მელანქოლიური ადამიანის ფიგურა, რომელსაც სამყარომ იმედი გაუცრუა. ადამიანის სულის ეს მდგომარეობა მუდმივად აქტუალური და უნივერსალურია,“** — თქვა მსახიობმა ოპერაზე საუბრისას.








# „ჰარიდა“ და ევროვიზიის გამარჯვებულის კონცერტი

**ხობის კულტურის სასახლის დიდ საკონცერტო დარბაზში, ხობის ხელოვნების კონკურს-ფესტივალ „ჰარიდას“ პროგრამის ფარგლებში, საბავშვო ევროვიზია 2024-ის გამარჯვებულის ანდრია ფუტკარაძის კონცერტი გაიმართა.**

კონცერტს საქართველოს პირველი ლედი **თამარ ბაგრატიონი,** ხობის მუნიციპალიტეტის მერი **დავით ბუკია,** საკრებულოს თავმჯდომარე **ლევან ქავთარაძე,** კონკურს-ფესტივალის ჟიურის წევრები და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

**კლასიკური გიტარის, ფოლკლორული ანსამბლებისა და ქართული ხალხური ცეკვების კონკურს-ფესტივალ „ჰარიდას“ საზეიმო დახურვა-კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება და გალა კონცერტი 29 აპრილს გაიმართა. კონკურს-ფესტივალი „ჰარიდა“ ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის, საქართველოს ხელოვნების აკადემიის, მუსიკის აკადემიის მხარდაჭერით და ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ტარდება.**

# მაისი აჭარაში „ბათუმობით“ იწყება

**„ბათუმობა 2025“ 3 და 4 მაისს საზაფხულო თეატრისა და ბულვარის კოლონადების მიმდებარედ გაიმართება.**

ბათუმის მერიის ინფორმაციით, ორი დღის განმავლობაში ჩატარდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, კლასიკური, თანამედროვე მუსიკისა და ქართული ფოლკლორის კონცერტები.

სპეციალურად განთავსებულ დახლებსა და ჯიხურებში მოეწყობა ხელნაკეთი ნივთებისა და ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა, გასტრონომიული კუთხე. 4 მაისს, საზეიმო ვითარებაში, გაიმართება საპატიო ბათუმელების დაჯილდოება. „ბათუმობა 2025“ გალაკონცერტით დასრულდება.




საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოტანილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 5 მაისს**